შეთანხმების ფურცელი

„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტთან და მის თანმდევ ცვლილებებთან დაკავშირებით

სამსახურში წარმოდგენილი მოსაზრებები			სამსახურის პოზიცია
კანონპროექტის დასახელება	მუხლი	დაწესებულება და მოსაზრება	
„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	**მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი:** „4. სახელმწიფო ინსპექტორი ან მის მიერ განსაზღვრული პირი უფლებამოსილია, ამ კანონით განსაზღვრულ სფეროებში და საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში მიმდინარე წარმოების/გამოძიების პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, მიმართოს უფლებამოსილ საჯარო დაწესებულებას, მისი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ, ასევე, მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ.“;	**საქართველოს გენერალური პროკურატურა:** „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, ,,სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს ემატება მე-4 პუნქტი, რომლის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორი ან მის მიერ განსაზღვრული პირი უფლებამოსილია, ამ კანონით განსაზღვრულ სფეროებში და საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში მიმდინარე წარმოების/გამოძიების პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მიზნით, მიმართოს უფლებამოსილ საჯარო დაწესებულებას, მისი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ, ასევე, მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული წარმოადგენს პირდაპირ ჩარევას სხვა საჯარო დაწესებულების ფუნქციებში. მაშინ, როდესაც ინსპექტორი ადგენს დარღვევას, სუბიექტად გვევლინება საჯარო	**არ არის გათვალისწინებული** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვერ გაიზიარებს საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრებებს იმასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი საჯარო დაწესებულებისთვის, მათ შორის, საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის და შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის, ინფორმაციის მიწოდება მათ დაქვემდებარებაში არსებული თანამშრომლების მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენასთან დაკავშირებით, სცილდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას და აღნიშნული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს გადააქცევს სამართალდამცავი უწყებების მაკონტროლებელ ორგანოდ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი განამტკიცებს საჯარო სამსახურის შემდეგ პრინციპებს: საჯარო მოსამსახურე

		დაწესებულება და არა იქ დასაქმებული პირი, რადგან იგი მოქმედებს ამ დაწესებულების სახელით. ადმინისტარციული ორგანოსათვის დავალება მისი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნით და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, სცილდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** პროექტის თანახმად, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლს ემატება მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ინსპექტორი ან მის მიერ განსაზღვრული პირი უფლებამოსილია, კანონით განსაზღვრულ სფეროებში და საგამოძიებო ქვემდებარეობის ფარგლებში მიმდინარე წარმოების/გამოძიების პროცესში გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მიზნით მიმართოს უფლებამოსილ საჯარო დაწესებულებას, მისი თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ, ასევე, მიიღოს ინფორმაცია საჯარო დაწესებულების მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გატარებული ღონისძიებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციელისა	უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების შესაბამისად; საჯარო მოსამსახურის ნებისმიერი ქმედება კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს უნდა ემყარებოდეს. ყოველგვარი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების გარეშეც, აღნიშნული პრინციპები, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ავალდებულებს ინფორმაცია მიაწოდოს შესაბამის საჯარო დაწესებულებას, თუ მიიჩნევს, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს საჯარო მოსამსახურის მხრიდან დისციპლინურ გადაცდომას (აღნიშნული თავად საჯარო დაწესებულების ინტერესშიც უნდა შედიოდეს). აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილება შესაბამისობაში მოდის როგორც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან, ასევე „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონთან, კერძოდ: „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია სავარაუდო დისციპლინური

		და სამინისტროს სხვა მოსამსახურის საქმიანობას აკონტროლებს სამინისტროს გენერალური ინსპექცია. ამასთან, სამინისტროს გენერალური ინსპექცია თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და დაუშვებელია მის საქმიანობაში სამინისტროს სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის ან თანამდებობის პირის ჩარევა. სამინისტროს გენერალური ინსპექცია ანგარიშვალდებულია უშუალოდ მინისტრის წინაშე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ახორციელებს მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას. შესაბამისად, სამინისტროს მოსამსახურეთა მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისა და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენა და მასზე შესაბამისი რეაგირება წარმოადგენს შიდაუწყებრივ საკითხს. აღსანიშნავია, რომ დისციპლინური წარმოების ჩატარების მოთხოვნისა და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია საქართველოს სახალხო დამცველსაც კი, რომლის საქმიანობის უმთავრეს მიზანსაც წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტების გამოვლენა და დარღვეული უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენის ხელშეწყობა. სახალხო დამცველს შეუძლია მხოლოდ შეიტანოს წინადადებები პირთა დისციპლინური ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნული არ გულისხმობს დისციპლინური	გადაცდომის თაობაზე დასაბუთებული ეჭვის არსებობა. ხოლო, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სამსახურებრივი შემოწმების საფუძველი შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია პროკურატურის თანამშრომლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ან სხვა სამართალდარღვევის ჩადენის შესახებ. რაც შეეხება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წარმოების წესს, მსგავსი დათქმა აღნიშნულ წესში არ არის. უფრო მეტიც, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეზღუდულია ამგვარ პირთა წრე, რადგან მოსამსახურის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხის დაყენება შეუძლია მის უშუალო უფროსს ან მის ზემდგომ თანამდებობის პირს წერილობითი ფორმით (წარდგინება) დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ.

		ღონისძიებების განხორციელების ან/და გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროექტით გათვალისწინებული სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილება დისციპლინური წარმოების ჩატარების მოთხოვნის შესახებ გარკვეულწილად წარმოადგენს პროკურორის უფლებამოსილების დუბლირებას. კერძოდ, „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 48-ე მუხლის თანახმად, პროკურორს კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეაქვს წარდგინება, მათ შორის, სამინისტროს მოსამსახურის მიერ კანონმდებლობის დარღვევის, მისი მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების აღმოსაფხვრელად. პროკურორს მიღებული ზომების შესახებ ეცნობება 10 დღის ვადაში. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, პროკურორი წარმოადგენს გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელს, ასევე, იგი ახორციელებს საპროკურორო ზედამხედველობას ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას კანონის ზუსტ და ერთგვაროვან შესრულებაზე, აგრეთვე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ჩატარების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე. შესაბამისად, რელევანტურია, რომ მას გააჩნდეს ბერკეტი, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში მიმართოს შესაბამის უწყებას. აღნიშნულისგან განსხვავებით, სახელმწიფო	აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტი დისციპლინური წარმოების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს აკისრებს ვალდებულებას დისციპლინურ წარმოებაში ჩართოს ის პირი, რომელსაც აქვს ინფორმაცია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის შესახებ და შეუძლია წერილობით ან ზეპირად წარადგინოს ახსნა-განმარტება (მოწმე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ახსნა-განმარტების წარდგენა ეწინააღმდეგება ამ პირის (მოწმის) ან მისი ოჯახის წევრის ინტერესებს. აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ თავად საჯარო სამსახურის ინტერესში უნდა შედიოდეს მისი ქვემდებარე საჯარო მოსამსახურის მიერ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ ინფორმაციის მიღება, მისი შესწავლა და აღნიშნულის შემდგომში პრევენციისთვის სათანადო ზომების მიღება, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ არ იქნა გაზიარებული საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენიშვნები. რაც შეეხება, სამსახურის მიმართვაზე უწყებების მიერ გატარებული

		ინსპექტორის სამსახურს აქვს უფლებამოსილება კონკრეტული დანაშაულების გამოძიების მიმართულებით და იგი არ წარმოადგენს ზედამხედველ/მაკონტროლებელ უწყებას რომელიმე გამოძიების ორგანოსთვის. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიზანია, განახორციელოს: პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი; ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი; დასახელებული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დანაშაულთა მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, არ ვეთანხმებით ზემოთ განხილული უფლებამოსილების გათვალისწინებას, რამდენადაც აღნიშნული ცალსახად სცდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კანონით განსაზღვრული საქმიანობის მიმართულებებს. აღნიშნული უფლებამოსილებები უწყებას აბსოლუტურად სხვა ტიპის ორგანოდ გარდაქმნის, აყალიბებს სამართალდამცველი უწყებების მაკონტროლებელ ორგანოს, რისი მანდატიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს არც კონსტიტუციით და არც მიმდინარე კანონმდებლობით მინიჭებული არ აქვს.	ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მიწოდებას, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, როგორც წესი, ითხოვს არა დისციპლინური წარმოების ფარგლებში დაწესებულების გენერალური ინსპექციების მიერ გატარებული თითოეული ღონისძიების შესახებ დეტალურ, არამედ ზოგად ინფორმაციას რეაგირების შედეგის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნული აისახა კანონპროექტში. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რომელიც კანონით წარმოადგენს სწორედ საზედამხედველო ორგანოს, არაერთხელ მიუმართავს სხვა საჯარო უწყებების გენერალური ინსპექციისთვის შესაძლო დისციპლინურ გადაცდომაზე რეაგირების მიზნით, რომლის საფუძველზე არაერთ საჯარო მოხელეს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა. ასევე, სამსახური ითხოვს ინფორმაციას გენერალური ინსპექციის მიერ სამსახურის მიმართვაზე განხორციელებული რეაგირების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მიღება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როცა სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ

			დადასტურდა დანაშაულის ჩადენა, თუმცა გამოიკვეთა დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. საკანონმდებლო ცვლილების არსი არის არსებული პრაქტიკის საკანონმდებლო რეგლამენტირება.
	მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი: 2. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს: გ) ზოგად ინფორმაციას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა თაობაზე, სტატისტიკურ მონაცემებს მისი უფლებამოსილებების სფეროში მიმდინარე გამოძიების შესახებ, მათ შორის სტატისტიკურ მონაცემებს იმ სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, რომელზეც სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისმა მოადგილემ დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართა ზედამხედველ პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით და არ იქნა დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა, ზოგად ტენდენციებს, შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს და სხვა შესაბამის საკითხებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წლიური ანგარიში არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას	**საქართველოს გენერალური პროკურატურა:** მე-12 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წლიური ანგარიში უნდა შეიცავდეს ზოგად ინფორმაციას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულთა თაობაზე, სტატისტიკურ მონაცემებს მისი უფლებამოსილებების სფეროში მიმდინარე გამოძიების შესახებ, მათ შორის სტატისტიკურ მონაცემებს იმ სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, რომელზეც სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისმა მოადგილემ დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართა ზედამხედველ პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით და არ იქნა დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა, ზოგად ტენდენციებს, შეფასებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს და სხვა შესაბამის საკითხებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წლიური ანგარიში არ უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან/და საქმის ცალკეულ	**არ არის გათვალისწინებული** „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახური ხორციელდება გამჭვირვალედ და ღიად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, წარმოადგენს რა საჯარო სამსახურს, სრულად იზიარებს გამჭვირვალობისა და ღიაობის აღნიშნულ პრინციპს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, როგორც დამოუკიდებელი საზედამხედველო და საგამოძიებო ორგანოსთვის, საზოგადოებისადმი ანგარიშვალდებულების განმტკიცების მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიაჩნია აღნიშნული პრინციპის იმპლემენტაცია საკუთარი საქმიანობის პროცესში. სტატისტიკური მონაცემები იმ სისხლის სამართლის საქმეების შესახებ, რომელზეც სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისმა მოადგილემ

	კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ.	გარემოებებთან დაკავშირებული საკითხების შესახებ. სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურატურის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას წარმოადგენს. მართალია, მითითებულია, რომ ანგარიში არ უნდა შეიცავდეს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ სტატისტიკის იმგვარი ჩვენება, სადაც მითითებული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის ზოგადი ტენდენციები, შეფასება, დასკვნა, ერთგვარად მაინც გამოძიებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას უკავშირდება და იჭრება პროკურატურის და გენერალური პროკურორის ფუნქციებში, მაშინ როდესაც გენერალური პროკურორის ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს („პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტი).	დასაბუთებული წინადადებით მიმართა ზედამხედველ პროკურორს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასთან დაკავშირებით და არ იქნა დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნა, პირდაპირ უკავშირდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობას, სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს და მხოლოდ ის ფაქტი, რომ დევნის განხორციელების უფლებამოსილება პროკურატურის კომპეტენციაში შედის, ვერ ჩაითვლება პროკურატურის ფუნქციებში შეჭრად (ამ ლოგიკით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საქართველოს პროკურატურისთვის მიმართვაც, პროკურატურის ფუნქციებში შეჭრაა, მაშინ როცა ეს უფლება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს კანონით აქვს მინიჭებული სწორედ სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების სპეციფიკიდან გამომდინარე). მით უფრო, აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაციის მითითება ხორციელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წლიურ ანგარიშში, რომელიც წარდგინება საქართველოს პარლამენტს, საკანონმდებლო ორგანოს, რომლის წინაშეც ანგარიშვალდებულია როგორც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, ასევე საქართველოს გენერალური პროკურატურა. სწორედ პარლამენტმა

			უნდა შეაფასოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობა, მათ შორის პროკურატურასთან კოორდინაციის მიმართულებით. შესაბამისად, გაუგებარია, რატომ უნდა დაუმალოს საქართველოს პარლამენტს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა აღნიშნული არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.
	მე-17 მუხლის პირველი პუნქტი: 1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მონაწილეობს ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების სრულყოფის პროცესში.	**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** პროექტი აგრეთვე ითვალისწინებს ცვლილებას მე-17 მუხლის პირველ პუნქტში, რომლის თანახმადაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მონაწილეობს მის საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების სრულყოფის პროცესში. ბუნდოვანია, რა იგულისხმება ნორმატიული აქტების სრულყოფის პროცესში მონაწილეობაში და აღნიშნული ჩანაწერი რა ტიპის ვალდებულებებს აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს ნორმატიული აქტების, მათ შორის, მინისტრის ბრძანებების გამოცემისას. აღსანიშნავია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის თანახმად, ნორმატიული აქტის სამართლებრივი ექსპერტიზის განმახორციელებელ ერთადერთ უწყებას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. შესაბამისად, კითხვას ბადებს ნორმატიული აქტების პროექტებთან მიმართებით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატი და სამართლებრივი აქტის პროექტებთან მიმართებით	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ნორმატიული აქტის პროექტი უნდა გაეგზავნოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა უფლებამოსილებასაც განეკუთვნება ამ ნორმატიული აქტით ან მისი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ზემდგომი ნორმატიული აქტი ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დასკვნის წარდგენის ვალდებულებას, ასევე მის შეთანხმებას სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან. იმის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არის საქართველოში მონაცემთა დაცვაზე საზედამხედველო ერთადერთი ორგანო, სამსახურის მიერ შემუშავებული აღნიშნული ცვლილების მიზანია, „ნორმატიული

		ინსპექტორის სამსახურის შენიშვნების/წინადადების გაუთვალისწინებლობის მოსალოდნელი შედეგები.	აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვროს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის შესათანხმებლად ნორმატიული აქტის პროექტის წარმოდგენის სავალდებულოობა, თუ იგი უკავშირდება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ საქმიანობას. რაც შეეხება სამსახურის შენიშვნების/წინადადებების გაუთვალისწინებლობის მოსალოდნელ შედეგებს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შენიშვნებსა და მოსაზრებებს არც დღეს და არც მომავალში არ ექნება სავალდებულო და მბოჭავი იურიდიული ძალა ადმინისტრაციული ორგანოებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ორგანოების მონაწილეობა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის პროცესში საერთაშორისოდ მიღებული სტანდარტია. კერძოდ, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 58-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, თითოეულ საზედამხედველო ორგანოს უნდა

			ჰქონდეს საკონსულტაციო უფლებამოსილება პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე საკუთარი ინიციატივით ან მოთხოვნის საფუძველზე წარუდგინოს წინადადებები ეროვნულ პარლამენტს, წევრი სახელმწიფოს მთავრობას ან წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა ორგანოებს და დაწესებულებებს ან საზოგადოებას. შესაბამისად, მე-17 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ,,1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური მონაწილეობს ამ კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების სრულყოფის პროცესში და სამსახურის დასკვნას, რომელიც სარეკომენდაციო შინაარსისაა, წარუდგენს შესაბამის დაწესებულებებს.“
		საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო: წარმოდგენილი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით განისაზღვრება არაერთი ისეთი პროცესუალური საკითხი, რომელიც განეკუთვნება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეგულირების სფეროს. აღნიშნულთან	**არ არის გათვალისწინებული** პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია აწესრიგებს არაერთ საკითხს, რომლებიც მიეკუთვნება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით რეგულირებად სფეროს. კანონმდებელმა 2018 წელს, როდესაც მიღებულ იქნა „სახელმწიფო

		დაკავშირებით გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესებს ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. შესაბამისად, ყველა ის რეგულაცია, რომელიც შეიძლება უკავშირდებოდეს გამოძიების პროცესს ან წარმოადგენდეს ახალ საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედებას, უნდა აისახოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. ამასთან, დასახელებული კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ყველა გამომძიებელს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვს და მათ მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით ჩატარებული ყველა საგამოძიებო მოქმედება თანაბარი იურიდიული ძალისაა. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით ერთმანეთისგან გამიჯნულია მხოლოდ გამოძიების ორგანოები, მათი საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, თუმცა, არა გამოძიების ჩატარების პროცესში მათი უფლებამოსილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების უფლებამოსილება თანაბრად უნდა გავრცელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ გამოძიების ყველა ორგანოზე და დაუშვებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ამ კუთხით რაიმე პრივილეგიის მინიჭება. აღნიშნული შენიშვნა	ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, დაუშვა ამ კანონით პროცესუალური საკითხების მოწესრიგების პრეცედენტი. ამის მაგალითია, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2-მე-8 პუნქტები. შესაბამისად, კანონპროექტით წარმოდგენილი ცვლილებებიც აღნიშნულის გაგრძელებაა და ემსახურება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წინაშე მდგარი სპეციფიკური გამოწვევების მოგვარებას. ცვლილებები, ასევე განპირობებულია სახელმწიფო ინსპექტორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული რეგულაციების დახვეწის საჭიროებით. კანონპროექტით წარმოდგენილი არცერთი ცვლილება არ ადგენს ახალ საგამოძიებო თუ სხვა საპროცესო მოქმედებას და არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს. შესაბამისად, ბუნდოვანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრება საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარების უფლებამოსილების ყველა საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელზე თანაბრად გავრცელებასთან დაკავშირებით. უფრო მეტიც, აპელირება იმ ფაქტზე, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლისთვის მინიჭებული

		მიემართება ამ პუნქტში განხილულ ყველა საკანონმდებლო ცვლილებას.	უფლება უნდა იყოს სხვა საგამოძიებო უწყებების გამომძიებელთა უფლებამოსილების მსგავსი, არ შეესაბამება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატს, სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების სპეციფიკას და სამსახურის წინაშე არსებულ გამოწვევებს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კანონპროექტი, საქართველოს მიერ ნაკისრი იმ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების გაგრძელებაა, რასაც ემსახურებოდა 2018 წელს „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება და დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნა. კერძოდ, „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების 2017-2020 წლების დღის წესრიგის“ სხვადასხვა ნაწილები („ასოცირების დღის წესრიგის მნიშვნელოვანი პრიორიტეტები“) მოუწოდებს სახელმწიფოს, მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, რათა ხელი შეეწყოს სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების მიერ ჩადენილ სავარაუდო წამების/არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიან და დამოუკიდებელ გამოძიებას. წამების/არასათანადო მოპყრობის ფაქტებისა და მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულის ეფექტიანი და

			დამოუკიდებელი საგამოძიებო სისტემის შექმნა ვერ იქნება ერთჯერადი აქტი და იგი ვერ დასრულდება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. ეფექტიანი და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოს შექმნა განგრძობადი პროცესია და პერიოდულად მოითხოვს სახელმწიფო ინსპექტორის მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევების კვალდაკვალ საკანონმდებლო და სხვა სამართლებრივი ბაზის დახვეწას, ახალი ქმედითი მექანიზმების შექმნას, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დამოუკიდებლობას და ეფექტიანობას.
	მე-19 მუხლის: **ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** „3. სხვა საგამოძიებო ორგანოს წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისას დანაშაულთა ერთობლიობის გამოვლენის შემთხვევაში, როდესაც ჩადენილ დანაშაულთაგან ერთი ან ერთზე მეტი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა, პროკურორის გადაწყვეტილებით, რომელიც მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის	**საქართველოს გენერალური პროკურატურა:** წარმოდგენილი კანონის პროექტის თანახმად ახალი რედაქციით ყალიბდება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი, რითაც პირდაპირ იზღუდება გენერალური პროკურორის ექსკლუზიური უფლება საქმის დაქვემდებარების თაობაზე, რაც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. გენერალური პროკურორი არცერთ სხვა საგამოძიებო ორგანოს მოსაზრების შემდგომ არ იღებს გადაწყვეტილებას ამ საგამოძიებო უწყებისათვის არაქვემდებარე საქმის დაქვემდებარების შესახებ.	**არ არის გათვალისწინებული** „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად პროკურორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის გარეშე სისხლის სამართლის საქმის სრული მოცულობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემის შესახებ.

	საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყოფა საქმე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარეა და ის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით, გამოსაძიებლად გადაეცემა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. **გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად გენერალური პროკურორი, მისი ინიციატივით და სახელმწიფო ინსპექტორის მოსაზრების მხედველობაში მიღებით** ან **სახელმწიფო ინსპექტორის წერილობითი დასაბუთებული წინადადების საფუძველზე,** უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, ცალკე წარმოებად გამოყოფის გარეშე სისხლის სამართლის საქმის სრული მოცულობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემის შესახებ. გენერალური პროკურორი სახელმწიფო ინსპექტორის ამ პუნქტით გათვალისწინებულ წინადადებას განიხილავს და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 24 საათში."; **ბ) მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3[1] პუნქტი:** „3[1]. თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის	სწორედ გენერალური პროკურორია სისხლის სამართლის პროცესში ის პირი, რომელსაც კანონმდებელმა მიანიჭა უფლებამოსილება სწრაფი, ეფექტიანი, ობიექტური გამოძიების კრიტერიუმები შეაფასოს, განსაზღვროს და მიიღოს გადაწყვეტილება საქმის გადაცემის შესახებ. მოცემული ცვლილების პროექტით, სამართალწარმოების პროცესში შემოდის მეორე სუბიექტი - სახელმწიფო ინსპექტორი, რომელიც გენერალური პროკურორის ამ ექსკლუზიური უფლებამოსილების განხორციელებას აჩერებს, რაც შეიძლება მოხდეს საქმის გადაცემის დროს სახელმწიფო ინსპექტორის განსხვავებული მოსაზრების არსებობისას, რაც ცალსახად არასწორი და სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისადმი შეუსაბამოა. მით უფრო იმ პირობებში, როდესაც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2021 წლის 23 სექტემბრის N1/3/1330 გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა" ქვეპუნქტის თავსებადობის პრობლემურობა გამოძიების ეფექტიანობის კონსტიტუციურ გარანტიებთან მიმართებით მხოლოდ იმ ნორმატიულ შინაარსში დაინახა, რომელიც საქართველოს მთავარ პროკურორს (ახლა უკვე გენერალურ პროკურორს) ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შეიძლება აძლევდეს უფლებამოსილებას, გამოძიების ეფექტიანობის პრინციპის უგულებელყოფით, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს სისხლის სამართლის	კანონპროექტი ითვალისწინებს აღნიშნულ დათქმაში შემდეგი სახის ცვლილებებს: 1. გენერალური პროკურორი კვლავ უფლებამოსილი რჩება გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, თავისი ინიციატივით, ცალკე წარმოებად გამოყოფის გარეშე სისხლის სამართლის საქმე სრული მოცულობით დაუქვემდებაროს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ამასთან, კანონპროექტით განისაზღვრება აღნიშნულ პროცესში სახელმწიფო ინსპექტორის მოსაზრების გათვალისწინების საკითხი. 2. დგინდება, რომ გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, გენერალურ პროკურორს საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის გარეშე სისხლის სამართლის საქმის სრული მოცულობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემის თხოვნით, შეიძლება მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორმა თავისი ინიციატივითაც. 3. განისაზღვრება გენერალური პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება. 4. განისაზღვრება გენერალური პროკურორის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის წინადადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების 24 საათიანი ვადა.

	გამოძიებისას გამოვლინდა დანაშაული, რომელთაგან ერთი ან ერთზე მეტი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე არ არის, პროკურორის გადაწყვეტილებით, რომელიც მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 110-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმიდან ცალკე წარმოებად გამოიყოფა საქმე, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე არ არის და ის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი წესით, გამოსაძიებლად გადაეცემა შესაბამის საგამოძიებო უწყებას. გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად გენერალური პროკურორი, მისი ინიციატივით და სახელმწიფო ინსპექტორის მოსაზრების მხედველობაში მიღებით ან სახელმწიფო ინსპექტორის წერილობითი დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, ცალკე წარმოებად გამოყოფის გარეშე სისხლის სამართლის საქმის სრული მოცულობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემის შესახებ. გენერალური პროკურორი სახელმწიფო	საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს იმ საგამოძიებო ორგანოს, რომლის თანამშრომლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების ხელყოფის ფაქტზე არსებობს საფუძვლიანი საჩივარი. შესაბამისად ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ვერ დაინახა გენერალური პროკურორის ამ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას რაიმე წინაპირობის არსებობის საჭიროება. რაც შეეხება ინსპექტორის ინიციატივას მოითხოვოს არაქვემდებარე საქმის დაქვემდებარება - ხაზგასასმელია, რომ ინსპექტორი ითხოვს ისეთი საქმის დაქვემდებარებას, რაც მისი ქვემდებარე არ არის და სცილდება მისი მანდატის ფარგლებს, შესაბამისად ჩნდება კითხვა - რატომ უნდა ჰქონდეს ამ დროს გენერალურ პროკურორს ვალდებულება ახსნას და დაასაბუთოს ასეთი არაქვემდებარე საქმე რატომ არ დაუქვემდებარა ინსპექტორს, მაშინ როდესაც საქმის დაქვემდებარება მისი ექსკლუზიური უფლებამოსილებაა? ასევე გაუგებარია ვადით შეზღუდვა რითაა განპირობებული, ძალიან არასერიოზული და პროცესუალურად შეუსაბამოა გენერალური პროკურორი შეზღუდო გადაწყვეტილების მიღების ოცდაოთხსაათიანი ვადით. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფი წარმოადგენს გამოძიების ორგანოს და მასაც, გამოძიების სხვა ორგანოების	საქართველოს გენერალური პროკურატურა მიუთითებს, რომ პირდაპირ იზღუდება გენერალური პროკურორის ექსკლუზიური უფლება საქმის დაქვემდებარების თაობაზე, რაც დადგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით. ამასთან, მიუთითებს, რომ გენერალური პროკურორი არცერთ სხვა საგამოძიებო ორგანოს მოსაზრების შემდგომ არ იღებს გადაწყვეტილებას ამ საგამოძიებო უწყებისათვის არაქვემდებარე საქმის დაქვემდებარების შესახებ. პირველ რიგში ხაზი უნდა გაესვას საქართველოს გენერალური პროკურატურის მხრიდან პროკურორის „ექსკლუზიური“ უფლებამოსილებების არასწორ ინტერპრეტაციას. უფლებამოსილების „ექსკლუზიურობა“ არ ათავისუფლებს არც ერთ (მათ შორის, გენერალურ) პროკურორს კანონშესაბამისი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებისგან. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით, რომ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი განამტკიცებს პროკურატურის საქმიანობაში კანონიერების, სამართლიანობის, ობიექტურობის, მიუკერძოებლობის, პროფესიონალიზმის,

	ინსპექტორის ამ პუნქტით გათვალისწინებულ წინადადებას განიხილავს და დასაბუთებულ გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 24 საათში.“;	მსგავსად, აქვს იგივე ფუნქციები და მოვალეობები, იმ განსხვავებით რაც „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონშია მოცემული, თუმცა არსობრივად მათი ფუნქციები იდენტურია. ამიტომ გაუგებარია თუ გამოძიების სხვა ორგანო არ არის უფლებამოსილი მიმართოს წინადადებით გენერალურ პროკურორს მისი არაქვემდებარე საქმის დაქვემდებარების მოთხოვნით და ამის თაობაზე თავად გენერალური პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, ეს უფლებამოსილება რატომ უნდა ქონდეს ექსკლუზიურად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს?	კომპეტენტურობის პრინციპებს, გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მოტივით საქმის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით, დღეს მოქმედი კანონმდებლობის პირობებშიც, გენერალური პროკურორი ვალდებულია განიხილოს სახელმწიფო ინსპექტორის მიმართვა/მოსაზრებები საქმის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით და აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღოს დასაბუთებული, სამართლიანი, ობიექტური გადაწყვეტილება. მით უფრო იმ პირობებში, როცა გენერალური პროკურორის აღნიშნული ,,ექსკლუზიური“ უფლებამოსილება გაკრიტიკებულია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (მისი ექსკლუზიურობისა და განუჭვრეტადობის საფუძვლით). შესაბამისად, გენერალური პროკურატურის მიდგომა, რომ გენერალური პროკურორი არ ითვალისწინებს და არც მომავალში აპირებს გაითვალისწინოს არცერთი საგამოძიებო ორგანოს, მათ შორის, არც სახელმწიფო ინსპექტორის მოსაზრებები, სულ მცირე წინააღმდეგობაში მოდის „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლით განმტკიცებულ პროკურატურის საქმიანობის პრინციპებთან.

			აქვე საგულისხმოა, რომ ნორმა შეეხება გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საქმის დაქვემდებარებას საგამოძიებო ორგანოსთვის. ბუნდოვანია, გამოძიების ეფექტიანობაზე მსჯელობა რატომ უნდა წარმოადგენდეს გენერალური პროკურორის ერთპიროვნული მსჯელობის საგანს და რატომ არ უნდა ხდებოდეს აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიღება თავად საგამოძიებო ორგანოს ჩართულობით და რატომ არ უნდა ჰქონდეს გენერალურ პროკურორს სულ მცირე იმის ვალდებულება დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება. საქართველოს გენერალური პროკურატურა ასევე მიუთითებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის N1/3/1330 გადაწყვეტილებაზე. გენერალური პროკურატურის მითითებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თავსებადობის პრობლემურობა გამოძიების ეფექტიანობის კონსტიტუციურ გარანტიებთან მიმართებით მხოლოდ იმ ნორმატიულ შინაარსში დაინახა, რომელიც საქართველოს მთავარ პროკურორს (ახლა უკვე გენერალურ

			პროკურორს) ან მის მიერ უფლებამოსილ პირს შეიძლება აძლევდეს უფლებამოსილებას, გამოძიების ეფექტიანობის პრინციპის უგულებელყოფით, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს სისხლის სამართლის საქმე და გამოსაძიებლად გადასცეს იმ საგამოძიებო ორგანოს, რომლის თანამშრომლის მიერ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების ხელყოფის ფაქტზე არსებობს საფუძვლიანი საჩივარი. გენერალურ პროკურატურას მიაჩნია, რომ ამავე გადაწყვეტილებაში სასამართლომ ვერ დაინახა გენერალური პროკურორის ამ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას რაიმე წინაპირობის არსებობის საჭიროება. აღნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას, საკონსტიტუციო სარჩელის მოთხოვნის ფარგლებს, რომელზეც გამოიტანა საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება. კერძოდ, გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილის მე-8 პუნქტში აღნიშნულია, რომ სადავო არ არის მთავარი პროკურორის ეს უფლებამოსილება საზოგადოდ, არამედ სადავოა ნორმის მხოლოდ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც საქართველოს მთავარ

			პროკურორს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს ანიჭებს უფლებამოსილებას, საგამოძიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, ერთი საგამოძიებო ორგანოდან ამოიღოს სისხლის სამართლის საქმე და იმ ორგანოს გადასცეს, რომლის თანამშრომლის (პოლიციელის) მიერ კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტით დაცული უფლების ხელყოფის ფაქტზე არსებობს საფუძვლიანი საჩივარი. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობის საგანსაც წარმოადგენდა სწორედ აღნიშნული და არა ზოგადად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. ხაზგასასმელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთ საქმეზე აქვს განმარტება გაკეთებული, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შებოჭილია სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებით (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 18 დეკემბრის №№1/3/1312 გადაწყვეტილება „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 2017 წლის 15 თებერვლის №№3/1/659 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის

			წინააღმდეგ“ და სხვა). შესაბამისად, არ არის რელევანტური, აღნიშნულ კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების მითითება. გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ინსპექტორის წერილობითი დასაბუთებული წინადადების საფუძველზე, ცალკე წარმოებად გამოყოფის გარეშე სისხლის სამართლის საქმის სრული მოცულობით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემასთან დაკავშირებით გენერალური პროკურორის მიერ დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების საკითხზე, საქართველოს გენერალური პროკურატურა მიუთითებს, რომ არ მიაჩნია მიზანშეწონილად აღნიშნულ საკითხზე გენერალურმა პროკურორმა ახსნას და დაასაბუთოს ასეთი არაქვემდებარე საქმე რატომ არ დაუქვემდებარა ინსპექტორს, მაშინ როდესაც საქმის დაქვემდებარება მისი ექსკლუზიური უფლებამოსილებაა. აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 23 სექტემბრის N1/3/1330 გადაწყვეტილებაში განვითარებულ მსჯელობაზე. კერძოდ

			საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიუთითებს, რომ: „გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად **სახელმწიფოს ევალება მთელი რიგი გარანტიების შექმნა, რომელთა ერთობლიობა განაპირობებს პოზიტიური ვალდებულების მოთხოვნების ჯეროვნად შესრულებას. აღნიშნული გარანტიები** *inter alia* **გამოხატულია არაერთი პრინციპით, როგორიცაა** გამოძიების დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად წარმართვა, ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად ყველა საჭირო ღონისძიების ზედმიწევნით და საფუძვლიანად განხორციელება, საგამოძიებო მოქმედებების დაუყოვნებლივ, შესაძლებლობისთანავე შესრულება, **გამოძიების წარმართვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირთა მიერ და სხვა. ამდენად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს საკანონმდებლო თუ ნებისმიერი სხვა აუცილებელი ღონისძიებების გატარება ზემოაღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით.** ამასთან, ზემოაღნიშნული ინტერესები შესაძლებელია, გარკვეულ შემთხვევებში ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდიოდეს, რა დროსაც აუცილებელია სამართლიანი და გონივრული ბალანსის იმგვარად დაცვა, რაც უფრო მეტად

			უზრუნველყოფს უპირველეს მიზანს – გამოძიების ეფექტიანობას.“ იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილების „ექსკლუზიურობის“ გამო საქართველოს გენერალურ პროკურორს არ ექნება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება, შეუძლებელი იქნება იმის დადგენა, სახელმწიფომ რამდენად უზრუნველყო სამართლიანი და გონივრული ბალანსის იმგვარად დაცვა, რომ უზრუნველყო უპირველესი მიზანი – გამოძიების ეფექტიანობა. რაც შეეხება 24 საათიანი ვადის დადგენის საჭიროებას, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ვადას და სტანდარტს მოქმედი კანონი უკვე იცნობს. კერძოდ, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თუ ზედამხედველი პროკურორი მიზანშეუწონლად მიიჩნევს საქმის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემას, სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილია არაუგვიანეს 24 საათისა საქმის გამოსაძიებლად გადაცემის შესახებ დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართოს საქართველოს გენერალურ პროკურორს. სახელმწიფო

			ინსპექტორის ან მისი მოადგილის წინადადება განიხილება მიმართვიდან 24 საათის ვადაში. თუმცა, რადგან საქართველოს გენერალურ პროკურატურას გაუგებრად მიაჩნია გენერალური პროკურორის ვადით შეზღუდვის საკითხი და თვლის, რომ აღნიშნული ძალიან არასერიოზულია და პროცესუალურად შეუსაბამოა, განვმარტავთ ვადის დადგენის საჭიროებას. აღნიშნულ შემთხვევაში ვადის დადგენის საჭიროება განპირობებულია გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე და აღნიშნული პირდაპირ უკავშირდება საგამოძიებო ორგანოს მიერ შემდგომში მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას. მოცემულ საკითხზე გენერალური პროკურორის მიერ გადაწყვეტილების მიღების დაყოვნება მნიშვნელოვნად აისახება გამოძიების ეფექტიანობაზე. მაგალითად, თუ გენერალური პროკურორის მიერ, სახელმწიფო ინსპექტორის მიმართვის განხილვა და მასაზე გადაწყვეტილების მიღება, განხორციელდება უფრო ხანგრძლივ ვადაში (ერთ კვირაში/ერთ თვეში), სავსებით შესაძლებელია შესაძლო მტკიცებულებების წაშლა/განადგურება. სწორედ მტკიცებულებათა შენარჩუნებისა და გამოძიების ეფექტიანობის მოტივით არის განპირობებული, გენერალურ

			პროკურორს ჰქონდეს 24 საათიანი ვადა სახელმწიფო ინსპექტორის წინადადების განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებად. საქართველოს გენერალური პროკურატურა, რომელიც საპროცესო ზედამხედველობას უწევს სახელმწიფო ინსპექტორის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებს და ყველაზე კარგად იცის სამსახურის წინაშე საგამოძიებო მიმართულებით არსებული გამოწვევები, ვერ ხედავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, სხვა საგამოძიებო ორგანოებისგან განსხვავებული მექანიზმებით აღჭურვის საჭიროებას და გაუგებრად მიაჩნია, თუ გამოძიების სხვა ორგანო არ არის უფლებამოსილი მიმართოს წინადადებით გენერალურ პროკურორს მისი არაქვემდებარე საქმის დაქვემდებარების მოთხოვნით და ამის თაობაზე თავად გენერალური პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას, ეს უფლებამოსილება რატომ უნდა ქონდეს ექსკლუზიურად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. პროკურატურის აღნიშნული მოსაზრება ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ პროკურატურა არ აღიარებს მოხელის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიების განსაკუთრებულ ხასიათს (მაშინ როცა სწორედ ამ დანაშაულების განსაკუთრებული ხასიათის გამო 2019

			წლის 1-ელ ნოემბრამდე პროკურატურა იყო აღჭურვილი ამ დანაშაულების გამოძიების უფლებამოსილებით) და ამ პროცესში დამოუკიდებელი, ეფექტიანი გამოძიების მნიშვნელობას. შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები - „ექსკლუზიური უფლებამოსილების“ ფართო გაგება და ამ საფუძვლით საგამოძიებო ორგანოებისთვის მოსაზრების გამოთქმის უფლებამოსილების შეზღუდვა, კიდევ უფრო ამყარებს პროექტით გათვალისწინებული ცვლილებების მიღების საჭიროებას.
	მე-19 მუხლის მე-4 პუნქტი: 4. თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აქვს ინფორმაცია, რომ რომელიმე საგამოძიებო ორგანო იძიებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეს, სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილე უფლებამოსილია საგამოძიებო ორგანოს მიმართოს საქმის მასალების გაცნობის მოთხოვნით, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილე უფლებამოსილია ზედამხედველ პროკურორს წერილობით მიმართოს	**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტში, რომლითაც კონკრეტდება, რომ თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს აქვს ინფორმაცია, რომ რომელიმე საგამოძიებო ორგანო იძიებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ სისხლის სამართლის საქმეს, სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილე უფლებამოსილია საქმის მასალების გაცნობის მოთხოვნით მიმართოს აღნიშნულ საგამოძიებო ორგანოს, რაც დაუყოვნებლივ უნდა დაკმაყოფილდეს. საგამოძიებო ორგანოთა საქმიანობის სპეციფიკიდან და დატვირთულობის მაჩვენებლიდან გამომდინარე, პრაქტიკაში	**არ არის გათვალისწინებული** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება საქმის გაცნობასთან დაკავშირებით პრაქტიკაში პრობლემური იქნება საგამოძიებო ორგანოთა სპეციფიკისა და დატვირთულობის გამო. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს 2020 და 2021 წელსაც მოთხოვილი აქვს 2 (ჯამში 4) საქმის გაცნობა. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრება, არსებულ რეალობასთან შეუსაბამოა. ბუნდოვანია როგორ უნდა გამოიწვიოს აღნიშნულმა

	დასაბუთებული წინადადებით სხვა საგამოძიებო ორგანოდან მისი საგამოძიებო ქვემდებარეობისთვის მიკუთვნებული სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად გადმოცემის შესახებ. თუ ზედამხედველი პროკურორი მიზანშეუწონლად მიიჩნევს საქმის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის გადაცემას, სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილია არაუგვიანეს 24 საათისა, საქმის გამოსაძიებლად გადაცემის შესახებ, დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართოს საქართველოს გენერალურ პროკურორს. სახელმწიფო ინსპექტორის და მისი მოადგილის წინადადება განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მიმართვიდან 24 საათის ვადაში. სისხლის სამართლის საქმის გამოსაძიებლად გადაცემისა და გამოსაძიებლად გადაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.	პრობლემური იქნება საქმის მასალების გაცნობის თაობაზე მოთხოვნის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილება. გარდა ამისა, შესაძლებელია აღნიშნული მოთხოვნა არ საჭიროებდეს დაკმაყოფილებას, რადგან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შესაძლებელია არასწორი/დაუსაბუთებელი ინფორმაცია ჰქონდეს ხელთ და საქმე რეალურად არ იყოს ამ სამსახურის ქვემდებარე. ეჭვის საფუძველზე ნებისმიერი საქმის გადამოწმება მონაცემთა არაპროპორციულად დიდი რაოდენობის დამუშავებას გამოიწვევს. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს №3 ბრძანება „სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, რომლის თანახმადაც, თუ გამომძიებელი დაადგენს, რომ საქმე არ განეკუთვნება მის საგამოძიებო ქვემდებარეობას, იგი ვალდებულია ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებანი და საქმე გადასცეს პროკურორს საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით წარმართვისათვის. აღნიშნულიდან გამომდინარე საქმის გადაცემის წესები დადგენილია ზემოაღნიშნული ბრძანებით. დამატებითი რეგულაციების დადგენის საჭიროება კი გაურკვეველია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია აღნიშნული დანაწესის კანონში დამატება.	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გადატვირთულობა და საქმიანობის შეფერხება. რაც შეეხება საქმეთა საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის ზოგადი წესიდან გამონაკლისის დაშვების საჭიროებას, აღნიშნული გამონაკლისი უკვე დაშვებულია „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-4 პუნქტით, წინამდებარე კანონპროექტი კი ემსახურება ამ საგამონაკლისო შემთხვევის ქმედითობისთვის სათანადო მექანიზმის მოწესრიგებას, რამდენადაც „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განმარტავს რა წესითა და პროცედურის დაცვით უნდა გაეცნოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური სხვა საგამოძიებო ორგანოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეს - ვის უნდა მიმართოს სამსახურმა (საგამოძიებო უწყებას თუ ზედამხედველ პროკურორს) და ვისგან უნდა მოიპოვოს სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის ნებართვა, რა ვადაში უნდა მოხდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნის დაკმაყოფილება, სად უნდა მოხდეს საქმის გაცნობა და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია კანონმდებლობით

			მკაფიოდ გაიწეროს: საქმის მასალების გაცნობის თაობაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნის ადრესატი და აღნიშნული მოთხოვნის განხილვის ვადები.
	მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი: **მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:** „7. თუ ზედამხედველი პროკურორი არ გაიზიარებს ან ნაწილობრივ გაიზიარებს სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის დასაბუთებულ წინადადებას ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე, სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილია, არაუგვიანეს 24 საათისა, ამავე საკითხზე დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართოს საქართველოს გენერალურ პროკურორს. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე სახელმწიფო ინსპექტორის ან მისი მოადგილის წინადადება განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება მიმართვიდან 72 საათის ვადაში, ხოლო ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საკითხზე სახელმწიფო ინსპექტორის ან მისი მოადგილის წინადადება განიხილება მიმართვიდან 24 საათის ვადაში. გადაწყვეტილება, ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ	**საქართველოს გენერალური პროკურატურა** წარმოდგენილი კანონის პროექტის თანახმად ახალი რედაქციით ყალიბდება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმადაც თუ ზედამხედველი პროკურორი ნაწილობრივ გაიზიარებს სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის დასაბუთებულ წინადადებას ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე, სახელმწიფო ინსპექტორი უფლებამოსილია, არაუგვიანეს 24 საათისა, ამავე საკითხზე დასაბუთებული წინადადებით მიმართოს საქართველოს გენერალურ პროკურორს. უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედ რედაქციაში ,,ნაწილობრივი გაზიარების“ საკითხის შემოტანა, რაც მისი შინაარსიდან გამომდინარე ძალიან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, აშკარად აზიანებს და ხელს შეუშლის პროკურორის უფლებამოსილების განხორციელებას და გაუმართლებლად ზღუდავს საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელებას. კერძოდ, ,,ნაწილობრივ გაზიარებად“ შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის წინადადება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების	**არ არის გათვალისწინებული** კანონის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ იგი არ ამკვიდრებს პროკურორის მიერ დევნის დაწყების მიზანშეწონილობის სასამართლოს მიღმა შეფასების პირველ პრეცენდენტს, რამდენადაც „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციით დამკვიდრებული სტანდარტი (სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზანშეწონილობის შესახებ პროკურორისთვის მიმართვა), წარმოადგენს სამსახურის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმს და სწორედ ამ მიზნით განხორციელდა პარლამენტის მიერ მისი რეგლამენტირება კანონში. კერძოდ, როგორც კანონის მიღების, ასევე დღეს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლი სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას და განხორციელებას მხოლოდ პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებად აცხადებს, თუმცა ამავდროულად კანონმდებელმა „სახელმწიფო ინსპექტორის

	საკითხზე უარის თქმის შესახებ, დასაბუთებული უნდა იყოს. მოსამართლის განჩინების საფუძველზე საგამოძიებო მოქმედების ან საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის ან მისი მოადგილის წინადადების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ზედამხედველი პროკურორი დაუყოვნებლივ მიმართავს სასამართლოს.“;	მოთხოვნით ამა თუ იმ კონკრეტული მუხლით. თუკი პროკურორი ჩათვლის, რომ წინადადებით შემოთავაზებული მუხლი არ არის დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაცია და იგი სისხლისსამართლებრივი დევნას დაიწყებს სხვა მუხლით, რაც მისი ექსკლუზიური უფლებამოსილებაა, ასეთ დროს ინსპექტორს შეუძლია გაასაჩივროს კვალიფიკაციის საკითხი გენერალურ პროკურორთან, რაც იქნება სისხლის სამართლის პროცესის ფუნდამენტური პრინციპების და არსის საწინააღმდეგო, რადგანაც მივიღებთ პირველ პრეცენდენტს, როდესაც პროკურორის მიერ განსაზღვრულ დანაშაულის კვალიფიკაციის სისწორეს ან დევნის დაწყების მიზანშეწონილობას/ მტკიცებულებათა სტანდარტის არსებობას სასამართლო კი არ შეაფასებს, არამედ საგამოძიებო ორგანო - სახელმწიფო ინსპექტორი, რაც წარმოადგენს პროკურორის ექსკლუზიურ უფლებამოსილებაში უხეშ ჩარევას და სისხლის სამართლის პროცესისთვის გაუგონარ უპრეცენდენტო შეუსაბამობას. ,,ნაწილობრივ გაზიარებას“ წარმოადგენს ასევე, როდესაც ინსპექტორის შესაბამისი მოადგილე წინადადებით ითხოვს საგამოძიებო მოქმედების ჩასატარებლად განჩინების აღებას და უთითებს დროის მონაკვეთს, რასაც უნდა მოიცავდეს ამოსაღები, გამოსათხოვი ინფორმაცია. ასეთ დროს თუკი პროკურორი მის მიერ განხორციელებული საპროცესო ხელმძღვანელობის ფარგლებში დააკმაყოფილებას წინადადებას, მაგრამ	სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-7 პუნქტით მიანიჭა სახელმწიფო ინსპექტორის უფლებამოსილება, რომ თუ ზედამხედველი პროკურორი არ გაიზიარებს სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამისი მოადგილის დასაბუთებულ წინადადებას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ, ამავე საკითხზე დასაბუთებული წინადადებით წერილობით მიმართოს საქართველოს გენერალურ პროკურორს. საქართველოს გენერალური პროკურატურა ყურადღების მიღმა ტოვებს იმ საკითხს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის მიერ ხორციელდება არა პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებაში ჩარევა, არამედ დასაბუთებული მოსაზრებების გენერალური პროკურორისთვის წარდგენა. სწორედ გენერალური პროკურორია ის ვინც მე-19-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია შეაფასოს პროკურორის მიერ განსაზღვრული დანაშაულის კვალიფიკაციის სისწორე ან დევნის დაწყების მიზანშეწონილობა და მტკიცებულებათა სტანდარტის არსებობა.

		არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, შეცვლის თუნდაც მცირედით დროის მონაკვეთს, სახელმწიფო ინსპექტორს შეუძლია ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს გენერალურ პროკურორთან. ასეთი მოცემულობით მივიღებთ იმ რეალობას, რომ პროკურორს სრულად შეეზღუდება საპროცესო ხელმძღვანელობის ფუნქცია და მის განსახორციელებელ მოქმედებადაზე ასევე შეზღუდული იქნება სხვა უწყების მიერ შემოთავაზებული ფორმით და ზომით, რაც ცალსახად მიუღებელია. ,,ნაწილობრივი გაზიარების“ პრაქტიკული მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება, მაგრამ ამ ეტაპზე ესეც საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ თუ რამდენად ფართო ინტერპრეტაცია შეიძლება მიეცეს მას პრაქტიკაში და როგორ შეიძლება დააზიანოს მან სამართალწარმოების პროცესი.	იმ პირობებში, როცა სახელმწიფო ინსპექტორის მოადგილეს აქვს ზედამხედველი პროკურორისთვის მიმართვის დასაბუთების კანონისმიერი ვალდებულება, მასზე გაცემული უარყოფითი ან ნაწილობრივ (თუნდაც ე.წ. „მცირედით“) უარყოფითი პასუხი, რომელიც შესაძლოა გამომძიებელს არ აძლევდეს მნიშვნელოვანი მტკიცებულების მოპოვების შესაძლებლობას, უნდა იყოს დასაბუთებული. გაუგებარია რა მექანიზმს უნდა მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა, თუ არა ზედამხედველი პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით გენერალური პროკურორისთვის დასაბუთებული წინადადების წარდგენას. ასევე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ბუნდოვანია სათანადო საკანონმდებლო ბერკეტების შექმნით როგორ შეიძლება დაზიანდეს სამართალწარმოების პროცესი.

	მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი: 1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია: ე) დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად და სპეციალური ნებართვის გარეშე შევიდეს პენიტენციურ დაწესებულებაში და დროებითი მოთავსების იზოლატორში;	**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო:** პროექტით გათვალისწინებული კანონის მე-20 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია, დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად და სპეციალური ნებართვის გარეშე შევიდეს პენიტენციურ დაწესებულებაში და დროებითი მოთავსების იზოლატორში. აღნიშნული მიდგომა საჭიროებს თანმდევ ცვლილებას „პატიმრობის კოდექსის“ მე-60 მუხლში, რომლითაც დადგენილია იმ პირთა წრე, რომლებსაც აქვთ პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტში იუსტიციის სამინისტროს ავტორობით წარსადგენი კანონპროექტების ნუსხაში ასახულია „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის ინიცირებაც უახლოეს მომავალში იგეგმება და რომელიც, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებთან ერთად, პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირთა წრის გაფართოებას და მისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის დამატებას ითვალისწინებს.	**გათვალისწინებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შენიშვნა** კანონპროექტის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილება, პენიტენციურ დაწესებულებაში ნებართვის გარეშე შევიდეს, რამდენადაც 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტში იუსტიციის სამინისტროს ავტორობით წარსადგენი კანონპროექტების ნუსხაში ასახულია „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის ინიცირებასაც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უახლოეს მომავალში გეგმავს და რომელიც, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებთან ერთად, პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირთა წრის გაფართოებას და მისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის დამატებას ითვალისწინებს. **არ არის გათვალისწინებული საქართველოს გენერალური პროკურატურის შენიშვნა:** როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მომართვაშია

		საქართველოს გენერალური პროკურატურა: ასევე ახალი რედაქციით ყალიბდება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლი, რომელიც ერთის მხრივ შეიცავს ისეთ დებულებებს, რაც არსობრივად სცილდება ამ სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებს, მაგალითად, როგორიცაა დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად და სპეციალური ნებართვის გარეშე შევიდეს პენიტენციურ დაწესებულებაში და დროებითი მოთავსების იზოლატორში. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** პროექტის თანახმად, მე-20 მუხლით გათვალისწინებული იქნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილება, დაუბრკოლებლად, შეუზღუდავად და სპეციალური ნებართვის გარეშე შევიდეს პენიტენციურ დაწესებულებაში და დროებითი მოთავსების იზოლატორში. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის პენიტენციურ დაწესებულებაში ან დროებითი მოთავსების იზოლატორში შესვლა უნდა უკავშირდებოდეს არა გამოძიების, არამედ საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების მიზანს, როდესაც უკვე დაწყებულია გამოძიება შესაძლო დანაშაულის ფაქტზე. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლებს, გარდა საქართველოს კანონმდებლობით	მითითებული, 2021 წლის საშემოდგომო სესიაზე საქართველოს პარლამენტში იუსტიციის სამინისტროს ავტორობით წარსადგენი კანონპროექტების ნუსხაში ასახულია „პატიმრობის კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტი, რომლის ინიცირებაც უახლოეს მომავალში იგეგმება და რომელიც, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებულ სხვა რეგულაციებთან ერთად, პენიტენციურ დაწესებულებაში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის უფლების მქონე პირთა წრის გაფართოებას და მისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის დამატებას ითვალისწინებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, მაშინ როდესაც საქართველოს მთავრობას, მათ შორის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღიარებული აქვს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლების პენიტენციურ დაწესებულებებში ნებართვის გარეშე შესვლის საჭიროება, მით უფრო ბუნდოვანია საქართველოს გენერალური პროკურატურის მოსაზრება, რომ აღნიშნული საკითხის მოწესრიგება „არსობრივად“ სცილდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უფლებამოსილების ფარგლებს. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ბუნდოვანია რატომ

		გათვალისწინებული ნებართვის აუცილებლობისა, პრაქტიკაში არ ექმნებათ რაიმე სახის დაბრკოლება დროებითი მოთავსების იზოლატორში შესვლასთან დაკავშირებით. ამასთან, გამოძიების ფარგლებში იზოლატორში შესასვლელად ნებართვას საჭიროებს არა მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელი, არამედ ნებისმიერი სხვა საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელი, ასევე პროკურორიც. რაც შეეხება ნებართვის გარეშე იზოლატორში შესვლის უფლებამოსილებას, აღნიშნული პირველ რიგში უკავშირდება მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვაზე ზედამხედველობას. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება ამ უფლებით სახალხო დამცველისა და მისი აპარატის წარმომადგენლების, საქართველოს სახალხო დამცველთან შექმნილი სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების, გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს პროკურორებისა და წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის წარმომადგენლების აღჭურვა. სწორედ დასახელებულ პირთა პრევენციული ფუნქციებიდან გამომდინარე ითვალისწინებს კანონმდებლობა მათ მიერ შემთხვევითობის პრინციპით, დაწესებულებაში მყოფ პირთა მონახულების უფლებამოსილებას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დასახელებული უფლებამოსილების მინიჭება აზრს მოკლებულია, მაშინ,	ვერ ხედავს საქართველოს გენერალური პროკურატურა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლების პენიტენციურ დაწესებულებაში უნებართვო შესვლის საჭიროებას, მაშინ როცა სამსახურის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების 20%-მდე, შეეხება სწორედ პენიტენციური დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილ შესაძლო დანაშაულებს. **არ არის გათვალისწინებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენიშვნა:** შინაგან საქმეთა სამინისტრო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლების შესვლა უნდა უკავშირდებოდეს არა გამოძიების, არამედ საგამოძიებო ან სხვა საპროცესო მოქმედების ჩატარების მიზანს, როდესაც უკვე დაწყებულია გამოძიება შესაძლო დანაშაულის ფაქტზე. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არ იზიარებს აღნიშნულ მოსაზრებებს, რადგან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დანაყოფის თანამშრომლების ვიზიტი იზოლატორში ხშირ შემთხვევაში

		როდესაც მას არ გააჩნია პრევენციასთან დაკავშირებული უფლებამოსილებები, ხოლო ფაქტზე რეაგირებისა და საგამოძიებო ფუნქციის შესასრულებლად იზოლატორში შესაბამისი ნებართვით შესვლის უფლება გარანტირებულია ყველა და მათ შორის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლისათვის.	აუცილებელია შეტყობინების შინაარსის დასაზუსტებლად. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე მიუთითებს, რომ გამოძიების ფარგლებში იზოლატორში შესასვლელად ნებართვას საჭიროებს არა მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომელი, არამედ ნებისმიერი სხვა საგამოძიებო ორგანოს გამომძიებელი, ასევე პროკურორიც. ის ფაქტი, რომ სხვა საგამოძიებო უწყებების გამომძიებლებსა და პროკურორს არ აქვთ იზოლატორში უნებართვოდ შესვლის უფლება ვერ იქნება იმის არგუმენტი, რომ აღნიშნულის შესაძლებლობა არ უნდა ჰქონდეთ არც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებს. განსხვავებით სხვა უწყების გამომძიებლებისგან და პროკურორისგან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მანდატია კანონით განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულების გამოძიება, რომლებიც პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებშია ჩადენილი. მათ შორის, ისეთი დანაშაულის, რომელსაც პირის სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა. მსგავსი დანაშაულების გამოძიება საჭიროებს პენიტენციურ დაწესებულებებსა და დროებითი მოთავსების

			იზოლატორებში საგამოძიებო/ საპროცესო მოქმედებების ჩატარებას, რიგ შემთხვევებში, გადაუდებლად. ნებისმიერი დაყოვნება ქმნის რისკს, რომ გამოძიების შედეგით დაინტერესებული სამსახურის ადმინისტრაცია მნიშვნელოვან მტკიცებულებებს გადამალავს ან გაანადგურებს. იმისათვის, რომ ამგვარი ეჭვი გაქარწყლდეს თავად შინაგან საქმეთა სამინისტროს ინტერესშიც უნდა შედიოდეს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის დამატებითი დაყოვნების გარეშე იზოლატორში შესვლა.
	მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი: 2. ნებისმიერი პირი/დაწესებულება ვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს განჩინების მიღებამდე, მაგრამ არაუმეტეს მიმართვიდან 30 კალენდარული დღისა, უზრუნველყოს შესაძლო მტკიცებულების დაცვა/შენახვა.	**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** პროექტი ასევე ითვალისწინებს გამოძიების სფეროში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ახალი უფლებამოსილებების მინიჭებას. კერძოდ, ცვლილება ხორციელდება მე-20 მუხლში და განისაზღვრება, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიზნით სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური უფლებამოსილია ნებისმიერი პირისგან/დაწესებულებისგან მოითხოვოს შესაძლო მტკიცებულების დაცვა/შენახვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების მიღებამდე, მაგრამ არაუმეტეს მიმართვიდან 30 კალენდარული დღისა. მტკიცებულებათა შენახვა, მათი შემდგომი გამოთხოვის მიზნით, შესაძლოა უმეტეს	**არ არის გათვალისწინებული** კანონპროექტით წარმოდგენილი მე-20 მუხლის მე-2 პუნქტი ემსახურება კანონიერ მიზანს - სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მის ქვემდებარე დანაშაულებზე გამოძიება წარმართოს ეფექტიანად. აღნიშნული ნორმა არ ადგენს შესაძლო მტკიცებულების გამოთხოვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულ წესს, არამედ ითვალისწინებს პირის/დაწესებულების ვალდებულებას სასამართლოს განჩინების მიღებამდე, მაგრამ არაუმეტეს მიმართვიდან 30 კალენდარული დღისა, უზრუნველყოს შესაძლო მტკიცებულების დაცვა/შენახვა, რათა სასამართლო

		შემთხვევაში მიემართებოდეს კომპიუტერულ მონაცემებს, გასათვალისწინებელია „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2001 წლის 23 ნოემბრის კონვენცია, რომელიც ადგენს შენახული კომპიუტერული მონაცემების დაცვისა და ამ მონაცემების გამოთხოვის სტანდარტს. კონვენციის თანახმად, ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გამოძიებასთან და სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებული უფლებამოსილებებისა და პროცედურების შემოღება და გამოყენება განხორციელდეს ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით გათვალისწინებული პირობებითა და გარანტიებით, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ადეკვატურ დაცვას. ამგვარი პირობები და გარანტიები უნდა მოიცავდეს აღნიშნული უფლებამოსილების და პროცედურის სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელ ზედამხედველობას, მათი გამოყენების საფუძვლის არსებობის მტკიცებას და მათი ფარგლებისა და ხანგრძლივობის შეზღუდვას. აღსანიშნავია, რომ კონვენციის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მიერ შემუშავებულია „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის თანახმადაც, დასაშვები იქნება კომპიუტერული მონაცემის გამოთხოვა	განჩინების მიღების შემდგომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით განხორციელდეს მისი გამოთხოვა. შესაბამისად, არ არის რელევანტური, შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითება „კიბერდანაშაულის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2001 წლის 23 ნოემბრის კონვენციაზე და ამ კონვენციით გათვალისწინებულ სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელი ზედამხედველობის საჭიროებაზე. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ნორმით დადგენილია შესაძლო მტკიცებულებების დასაცავად შენახვის ვადა, კერძოდ - სასამართლოს განჩინების მიღებამდე, მაგრამ არაუმეტეს მიმართვიდან 30 კალენდარული დღისა. ვადის განსაზღვრის გათვალისწინებით, ნორმა არ უნდა წარმოადგენდეს ტვირთს და წარმოშობდეს გაუთვალისწინებელ ეკონომიკურ ხარჯებს შესაბამისი პირებისთვის/დაწესებულებებისთვის. აქვე უნდა აღინიშნოს რამ განაპირობა მე-20 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მექანიზმის რეგლამენტირების საჭიროება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების ფარგლებში, სავარაუდო მსხვერპლთა 40% სავარაუდო დანაშაულის ადგილად მიუთითებს ქუჩას, 31% - შინაგან

		ნებისმიერი კატეგორიის დანაშაულზე და განისაზღვრება სხვადასხვა მონაცემის გამოთხოვის განსხვავებული სტანდარტები. მათ შორის, კომპიუტერული მონაცემი, რომელიც შეიცავს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ინფორმაციის გამოთხოვის, ჩხრეკა-ამოღების ან დათვალიერების ჩატარების შესახებ სასამართლოს განჩინების საფუძველზე. ამასთან, ამავე პროექტით გათვალისწინებულია კომპიუტერული მონაცემების დაუყოვნებლივი შენახვის მექანიზმი. კერძოდ, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ კომპიუტერული მონაცემი, შესაძლოა დაიკარგოს ან განიცადოს ცვლილება, მომსახურების მომწოდებელს, რომელიც ფლობს, ინახავს ან/და აკონტროლებს აღნიშნულ კომპიუტერულ მონაცემს, მონაცემების დაუყოვნებლივი შენახვა შეიძლება დაევალოს პროკურორის დადგენილებით. პროექტის თანახმად, შენახული კომპიუტერული მონაცემის შემდგომი გამოთხოვა ხორციელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლით დადგენილი წესით. ამასთან, დასახელებულ კანონპროექტთან დაკავშირებით გერმანიის უზენაესი ფედერალური სასამართლოს მოსამართლის, იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის ლექტორის – დოქ. ვოლფგანგ ბერისა და იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტის პროფესორის - დოქ. ედვარდ შრამის მოსაზრებების თანახმად, კრიტიკული	საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობას, 26% კი - პოლიციის ავტომანქანას. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებითად მნიშვნელოვანი მტკიცებულებაა სწორედ საპატრულო პოლიციის სამხრე კამერებისა და პოლიციის განყოფილების შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები, რომელთა მოწოდების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია. ვიდეოჩანაწერთა მოუწოდებლობისას (მათ შორის, შესაბამისი უწყების მიერ დადგენილი შენახვის ვადების ფარგლებში), სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ინტერესდება მათი არარსებობის მიზეზით. ყველაზე ხშირ მიზეზად სახელდება ის, რომ ვიდეოჩანაწერი არ იძებნება ჩამწერი მოწყობილობის მყარ დისკზე, თუმცა არის შემთხვევები, როცა მიზეზად მითითებულია შენახვის ვადის გასვლა. სამართალდამცავ ორგანოთა მიერ დამონტაჟებული ვიდეოთვალთვალის სისტემების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა პირის უსაფრთხოების დაცვა. შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია, ასეთი ორგანოს თანამშრომლისგან შესაძლო ძალადობის შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შეუფერხებლად მოეწოდებოდეს

		ინფრასტრუქტურული სუბიექტების უსაფრთხოების მაღალი მნიშვნელობის გამო აღნიშნული სუბიექტების ვიდეოჩანაწერებზე ან სხვა კომპიუტერულ ფაილებზე წვდომა უნდა ექვემდებარებოდეს სასამართლო კონტროლს (მოსამართლის პრივილეგია). ამასთან, შესაძლებელია არამარტო მარტივი, არამედ კვალიფიციური სასამართლო კონტროლის შემოღება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან დასახელებულ კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებით დადგენილია მაღალი სტანდარტი, თუ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტით გათვალისწინებული იქნება მონაცემთა შენახვასთან დაკავშირებული რეგულაცია (რაც უნდა ექცეოდეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედების სფეროში), მიზანშეწონილია აღნიშნული დარეგულირდეს კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე უკვე არსებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ფარგლებში, შესაბამისად, შენახვის მოთხოვნა განხორციელდეს პროკურორის დადგენილების საფუძველზე. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებათა 30 დღით შენახვისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა შესაძლებელია არ ჰქონდეს დაწესებულებას, რაც დამატებით სირთულეს წარმოადგენს ნორმის აღსრულებისთვის. ამასთან, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ მნიშვნელოვანია, კომპიუტერულ მონაცემთა გამოთხოვასთან დაკავშირებით შესაბამისი	ვიდეოჩანაწერები, ხოლო მოუწოდებლობისას, შესაძლებელი იყოს მიზეზის დადგენა. შინაგან საქმეთა სამინისტრო მიუთითებს ზემოხსენებული საკითხის „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის (რომელზეც მუშაობს იურიდიული კომიტეტი) ფარგლებში მოწესრიგების აუცილებლობაზე, რაც ასევე არ არის რელევანტური. აღნიშნული რეფორმა არის ძალიან კომპლექსური და საჭიროებს კონსესუსის მიღწევას სხვადასხვა უწყებებთან, დაინტერესებულ პირებთან, რაზეც მიუთითებს ის გარემოებაც, რომ რეფორმაზე მუშაობა მიმდინარეობს უკვე რამდენიმე წელია. იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი გამოძიების ჩასატარებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ჰქონდეს მტკიცებულებათა მოპოვების ქმედითი საკანონმდებლო ბერკეტები, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს არ მიაჩნია მიზანშეწონილად მის წინაშე მდგარი გამოწვევების შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მითითებული რეფორმის ფარგლებში განხილვა.

		უწყებების მიერ ერთობლივი მუშაობა განახლდეს საქართველოს პარლამენტში შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში და გამოძიებისთვის პრობლემური საკითხების მოგვარება მოხდეს ყველა საგამოძიებო უწყებისთვის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესაბამისი ცვლილებების შეტანის გზით.	ასევე ვერ იქნება გაზიარებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მტკიცებულების შენახვა განხორციელდეს პროკურორის დადგენილების საფუძველზე, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით მიმდინარეობს საპროკურორო საგამოძიებო უფლებამოსილებების გამიჯვნის რეფორმა, რომლის მიზანი გამომძიებლისთვის მეტი დამოუკიდებლობის გარანტიების მინიჭებაა. ასევე, ვერ იქნება გაზიარებული შინაგან საქმეთა სამინისტროს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სამინისტროს არ გააჩნია შესაძლო მტკიცებულებების სასამართლო განჩინების მიღებამდე, არაუმეტეს 30 დღით შენახვისთვის საჭირო ტექნიკური მოწყობილობა. მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე კონტროლის ფარგლებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა შეისწავლა ვიდეოთვალთვალის სისტემებით პერსონალურ მონაცემთა დამუშავება სხვადასხვა ორგანოებში, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროში. მისი ერთ-ერთი მიზანი გახლდათ, შეეფასებინა ვიდეოჩანაწერთა უსაფრთხოების მიზნით სამართალდამცავი ორგანოების მიერ

			მიღებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების შესაბამისობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონთან. ვიდეოთვალთვალის სისტემებით მონაცემთა დამუშავების შესწავლისას დადგინდა, რომ ზოგჯერ ჩანაწერები ინახება სამართალდამცავი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაზე მეტი დროით და ავტომატურად არ იშლება შენახვის ვადის გასვლისთანავე, ან პირიქით, ჩანაწერები არ მოიპოვება, მიუხედავად იმისა, რომ არ არის გასული შენახვისთვის დადგენილი ვადა. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც შინაგან საქმეთა სამინისტრო კანონიერი მიზნის არარსებობისას ჩანაწერებს ინახავს დადგენილ ვადაზე მეტი დროით, ბუნდოვანია შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითება კანონიერი მიზნით შესაძლო მტკიცებულებების სასამართლო განჩინების მიღებამდე შენახვის ტექნიკური შესაძლებლობის არქონაზე. აქვე საყურადღებოა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში მოქმედმა უწყებათაშორისმა საბჭომ დაამტკიცა ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმა. ამ გეგმით, სხვა საკითხებთან ერთად, გათვალისწინებულია

			სამართალდამცავ ორგანოებში განთავსებული ვიდეოთვალთვალის სისტემების მოწესრიგება, ასევე, ვიდეოთვალთვალის შედეგად მოპოვებული მასალის დაარქივებისა და შენახვის ვადების ნორმატიულ დონეზე დარეგულირება. აღნიშნული ვალდებულებების შესრულებისა და მონაცემთა დამუშავების სტანდარტების დაცვის პირობებში, ვვარაუდობთ, რომ შესაძლებელი გახდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან არსებული ინფრასტრუქტურის ეფექტიანად გამოყენება.
	მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი: 3. ნებისმიერი პირი/დაწესებულება ვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიაწოდოს მის მიერ მოთხოვილი დოკუმენტი, ინფორმაცია ან/და შესაძლო მტკიცებულება, გონივრულ ვადაში, მაგრამ სამსახურის **მიმართვიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა,** როცა სასამართლოს განჩინებით დადგენილია განსხვავებული ვადა ან/და როცა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედება ტარდება გადაუდებელი აუცილებლობით.	**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** პროექტის თანახმად, ნებისმიერი პირი/დაწესებულება ვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიაწოდოს მის მიერ მოთხოვილი დოკუმენტი, ინფორმაცია ან/და შესაძლო მტკიცებულება, გონივრულ ვადაში, მაგრამ მიმართვიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში, აღნიშნული პირი/დაწესებულება ვალდებულია, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს წარუდგინოს შესაბამისი დასაბუთება. წარმოდგენილი დებულება ადგენს მონაცემთა დაცვის დაბალ სტანდარტს. საერთაშორისო მიდგომების თანახმად, ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია,	**არ არის გათვალისწინებული** საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ღელვა იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა არ დაარღვიოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობა უსაფუძვლოა, რამდენადაც კანონპროექტის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი განსაზღვრავს არა პირის/დაწესებულების მიერ დოკუმენტის, ინფორმაციის ან/და შესაძლო მტკიცებულების გამოთხოვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებულ წესს, არამედ მხოლოდ დოკუმენტის, ინფორმაციის ან/და შესაძლო მტკიცებულების სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მიწოდების ვადებს.

		კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებასთან, საბანკო ანგარიშებთან, შვილად აყვანასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ასევე პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში გაწევრიანებასთან, ან სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებთან საგამოძიებო უწყებების მხრიდან გამოთხოვილი უნდა იქნას სასამართლო კონტროლის გავლით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შემუშავებული ჰქონდა საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებდა სასამართლო კონტროლის გარეშე ადმინისტრაციულ ორგანოებში დაცული ინფორმაციის გამოთხოვას. აღნიშნული პროექტი სახელმწიფო ინსპექტორის მხრიდან მკაცრად გაკრიტიკებული იქნა, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებთან შეუსაბამო რეგულაცია. ზემოაღნიშნულის შედეგად, აღნიშნულ პროექტს მსვლელობა არ მისცემია. გაურკვეველია, რამ განაპირობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პოზიციის შეცვლა ამ მიმართულებით. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მცირეა როგორც მოთხოვნის შესრულების 10 დღიანი, ისე მოთხოვნის შეუსრულებლობის დასაბუთებისთვის განსაზღვრული 3 დღიანი ვადა. კანონპროექტი არ ითვალისწინებს დასახელებული 10 დღიანი ვადის გაგრძელების შესაძლებლობასაც. გასათვალისწინებელია, რომ სისხლის	ვადების განსაზღვრას, ესეიგი პირების/დაწესებულებების საკანონმდებლო რეგულაციებით შებოჭვას, რომ გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საგამოძიებო ორგანოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამოთხოვილი დოკუმენტი, ინფორმაცია ან/და შესაძლო მტკიცებულება მიაწოდონ დროულად, ხელოვნური მიზეზებით დროში გაჭიანურების გარეშე, არ აქვს და ვერ ექნება კავშირი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების გაუარესებასთან. შესაბამისად, შინაარსობრივად არასწორია პარალელის გავლება სასამართლო კონტროლის გარეშე ადმინისტრაციულ ორგანოებში დაცული ინფორმაციის გამოთხოვასა (რაც ცხადია აუარესებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტებს) და საგამოძიებო ორგანოსთვის ინფორმაციის დროულად მიწოდების ვალდებულების პირის/ დაწესებულებისთვის დაკისრებას შორის. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის განმარტებით ბარათში წარმოდგენილია ვადის დაწესების დასაბუთება, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ

		სამართლის საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით შესაძლოა სახელმწიფო ინსპექტორის მიერ გამოთხოვილ იქნეს დიდი მოცულობის ინფორმაცია/დოკუმენტაცია, რომელთა მოძიება და სისტემატიზაცია საჭიროებს გარკვეულ დროს.	სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულზე ეფექტიანი გამოძიების ჩასატარებლად, მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს ჰქონდეს მტკიცებულებათა მოპოვების ქმედითი საკანონმდებლო ბერკეტები. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობას მიკუთვნებულ დანაშაულთა სპეციფიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვან მტკიცებულებას წარმოადგენს პოლიციელთა სამხრე კამერების, პოლიციის ადმინისტრაციულ შენობებსა და ავტომანქანებში დამონტაჟებული ვიდეოსათვალთვალო სისტემების ჩანაწერები. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის 2020 წლის ანგარიში ცხადყოფს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ამგვარი ჩანაწერების მიწოდების მაჩვენებელი დაბალია (ვიდეოჩანაწერების მოპოვებასთან დაკავშირებული გამოწვევები დეტალურად არის აღწერილი აღნიშნულ ანგარიშში). რიგ შემთხვევებში, ვიდეოჩანაწერის მოპოვება შეუძლებელია მაშინაც კი, როცა მოთხოვნის მომენტისთვის არ არის გასული ვიდეოჩანაწერების შენახვის ვადა. ამასთან, არც თუ ისე იშვიათია სახელმწიფო უწყებების

			მხრიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ინფორმაციის დაგვიანებით მიწოდების შემთხვევები, რაც დროში აჭიანურებს ან/და შეუძლებელს ხდის მტკიცებულების მოპოვებას. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ მტკიცებულებების დროულად და შეუფერხებლად მოპოვებისა და გამოძიების ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მტკიცებულებათა გადაცემის შემჭიდროვებული (თუმცა გონივრული) ვადების დადგენა. რაც შეეხება 10 სამუშაო დღისა და 3 სამუშაო დღის სიმცირეს, ვერ იქნება გაზიარებული აღნიშნულ მოსაზრება, რამდენადაც 10 სამუშაო დღე (14 კალენდარული დღე), წარმოადგენს სრულიად გონივრულ ვადას ინფორმაციის/დოკუმენტის/შესაძლო მტკიცებულების მოსაწოდებლად.

	26[6] მუხლის პირველი პუნქტი: 1. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამის მოადგილეს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა), ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ თანამშრომელსა და სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს უფლება აქვთ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენონ ფიზიკური ძალა, სპეციალური საშუალებები და ცეცხლსასროლი იარაღი.	**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო:** პროექტით კანონს ემატება 26[6] მუხლი, რომლითაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფიზიკური ძალის, სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებამოსილება ენიჭება სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელს. მოქმედი კანონის თანახმად, აღნიშნული უფლებამოსილება აქვს მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის შესაბამის მოადგილეს, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელს (გარდა სტაჟიორ-გამომძიებლისა) და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განმახორციელებელ თანამშრომელს. კანონპროექტის განმარტებით ბარათში სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლისთვის იძულების ღონისძიებების გამოყენების უფლების მინიჭების საჭიროება დასაბუთებულია შემდეგ გარემოებაზე დაყრდნობით: სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული სწავლობს სამსახურის თანამშრომელთა შესაძლო დისციპლინური გადაცდომის საკითხებს, მათ შორის, იმ თანამშრომლების მხრიდან გადაცდომებს, რომლებიც უფლებამოსილი არიან, ატარონ	**გათვალისწინებულია** კანონპროექტიდან ამოღებულ იქნა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ იარაღის ტარების/გამოყენების უფლებამოსილება.

		და გამოიყენონ სამსახურებრივ -საშტატო იარაღი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელსაც მიენიჭოს ცეცხლსასროლი იარაღის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოყენების უფლებამოსილება. მიუხედავად კანონპროექტის განმარტებით ბარათში მოცემული არგუმენტისა, ვფიქრობთ, მხედველობაშია მისაღები, რომ სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლის უფლებამოსილება შემოიფარგლება დისციპლინური წარმოების განხორციელებით და ის არ უკავშირდება პირის დაკავებას ან სხვა სახის იძულების ღონისძიების გამოყენებას. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, სამსჯელოა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის აპარატის ფარგლებში იძულების ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა წრის გაფართოების მიზანშეწონილობა. **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** პროექტის 26[6] მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს ენიჭებათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ფიზიკური ძალის,	

		სპეციალური საშუალებებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება. დაუსაბუთებელია სამსახურებრივი ინსპექტირების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებისათვის ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლებამოსილების მინიჭების საჭიროება. აღნიშნული საქმიანობა ფუნქციურად არ საჭიროებს იძულების ღონისძიებების გამოყენებას. შესაბამისად, იარაღის გამოყენების აუცილებლობის არარსებობის პირობებში, წარმოდგენილი ცვლილების განხორციელება არ არის მიზანშეწონილი.	
	26[7] მუხლის მე-2 პუნქტი: 2. სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის განკუთვნილი ასიგნებების შემცირება წინა წლის დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრულ მოცულობასთან შედარებით შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ინსპექტორის წინასწარი თანხმობით.	**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვერ დაეთანხმება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის დაფინანსებასთან დაკავშირებულ ცვლილებას, მისთვის გამოყოფილი ასიგნებების წინა წელთან შედარებით შემცირების დაუშვებლობის თაობაზე, გამომდინარე იქიდან, რომ სამსახურისთვის განსაზღვრულ ასიგნებებში შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს ერთჯერადი ხასიათის კაპიტალური ხარჯები, რომლის გათვალისწინება ავტომატურად შემდეგი წლის ბიუჯეტში არამიზანშეწონილია. სამსახურის დამატებით საჭიროებების განხილვა უნდა განხორციელდეს საბიუჯეტო პროცესის განმავლობაში ყოველწლიურად, საბიუჯეტო განაცხადების განხილვის დროს. შესაბამისად, „სახელმწიფო ინსპექტორის	**გათვალისწინებულია** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსაზრება. 26[7] მუხლის მე-2 პუნქტი დარჩა მოქმედ კანონში არსებული რედაქციით.

		სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის პროექტის 26[7] მუხლის მე-2 პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს მოქმედი კანონისგან უცვლელი რედაქციით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან განსაკუთრებული დაფინანსების წესი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით განსაზღვრულია ისეთ უწყებებზე, როგორიცაა საქართველოს პარლამენტი და სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სასამართლოები, საქართველოს პროკურატურა და იურიდიული დახმარების სამსახური.	
„სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	**მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი:** „ვ) სახელმწიფო ინსპექტორის ნორმატიული აქტით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად.“;	**საქართველოს იუსტიციის სამინისტრო:** პროექტით მე-5 მუხლის მე-2 პუნქტს ემატება „ვ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას „სახელმწიფო ინსპექტორის ნორმატიული აქტით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად “. გასათვალისწინებელია, რომ არც აღნიშნული კანონპროექტი და არც წარმოდგენილ საკანონმდებლო პაკეტში შემავალი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი არ განსაზღვრავს იმ სფეროს, რომლის ფარგლებშიც შეიძლება შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ვფიქრობთ, მიზანშეწონილია,	**გათვალისწინებულია** საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მოსაზრება, კერძოდ კანონპროექტიდან ამოღებულ იქნა საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების უფლებამოსილება და აღნიშნულზე გაგრძელდება მუშაობა.

		წარმოდგენილი პაკეტით, ზოგადად, განისაზღვროს ასეთი სფერო/სფეროები, რათა გამოირიცხოს აღნიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ისეთი საქმიანობის განხორციელება, როგორიცაა, მაგალითად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების კონტროლი, ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი ან შესაბამის დანაშაულთა გამოძიება, რომლებიც, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის მიმართულებებს განეკუთვნება. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების (ანალოგიის სახით – სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყების, ამ შემთხვევაში – სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის) კომპეტენციაში. ამასთან, კანონპროექტის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რა მიზნით შეიძლება დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სისტემაში	

		(საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება, ტრენინგების ორგანიზება, პერსონალური მონაცემების დაცვის მხრივ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და სხვ.). ამდენად, მიზანშეწონილია, აღნიშნული მიმართულებები აისახოს საკანონმდებლო დონეზე საკუთრივ „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილების პროექტში. **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვერ დაეთანხმება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო ცენტრის დაფუძნებას. ცნობიერების ამაღლების ტრენინგების ჩატარება ან სასწავლო კურსების განახლება/დანერგვა და სხვა მსგავსი ღონისძიებების განხორციელება შესაძლებელია არსებული სასწავლო ცენტრების ბაზაზე, იმის გათვალისწინებითაც, რომ სასწავლო ცენტრის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების რეგულარულ დაფინანსებასთან ერთად სასწავლო ცენტრის მიერ ტრენერების/დარგის სპეციალისტების/ექსპერტების მოწვევა დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. შესაბამისად, დამატებით სტრუქტურის შექმნა და მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით ფინანსური რესურსების გამოყოფა, არსებული ფისკალური რესურსების ფარგლებში, არამიზანშეწონილია.	

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი	**143^3 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი:** „ა) გამოძიება დაწყებულია ან/და სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდება განზრახი მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებითა და თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის გამო: 134-ე მუხლი, 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 143-ე მუხლის პირველი ნაწილი, 143^3 მუხლის პირველი ნაწილი, 144^2 მუხლი, 180-ე მუხლის პირველი ნაწილი, 181-ე მუხლის პირველი ნაწილი, 186-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი, 210-ე მუხლის პირველი ნაწილი, 253-ე მუხლის პირველი ნაწილი, 254-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 259^4 მუხლი, 284-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 285-ე მუხლის პირველი ნაწილი, 286-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილები, 286^1 მუხლის პირველი ნაწილი, 286^2 მუხლის პირველი ნაწილი, 287-ე მუხლი, 288-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები, 289-ე, 290-ე და 292-ე–302-ე მუხლები, 303-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილები, 304-ე მუხლის პირველი ნაწილი, 305-ე–306^1 მუხლები, 318-ე მუხლის პირველი ნაწილი, 322^1 მუხლი, XXXIX თავი, 344	**საქართველოს გენერალური პროკურატურა:** ვეთანხმებით „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით შემოთავაზებულ ცვლილებას, რომლის შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^3 მუხლის მ-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით. კერძოდ, ჩამონათვალს ემატება სისხლის სამართლის კოდექსის 144^2 მუხლი და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი. **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** პროექტის მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^3 მუხლის (ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების წესი) მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების საფუძვლებს ემატება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^2 მუხლი და 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი. აღნიშნული საჭიროებს მეტ არგუმენტაციას პროექტის განმარტებით ბარათში, თუ რამდენად მიზანშეწონილია ეს მუხლები დაემატოს შესაბამის დანაშაულთა ჩამონათვალს მაშინ, როდესაც ჩამონათვალში არ გვხვდება ზოგიერთი ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულიც კი. თავად ნორმის სტრუქტურაც, სამართლებრივი თვალსაზრისით გადატვირთულია და ყოველ ჯერზე რაიმე კრიტერიუმის გარეშე ახალი	**არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის პოზიცია:** საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოქმედი რედაქციით ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება არ არის შესაძლებელი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე ორ მუხლზე - წამების მუქარა (144^2 მუხლი) და პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირის იძულება ჩვენების შეცვლის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მიზნით, აგრეთვე მსჯავრდებულის იძულება მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის მიზნით (378-ე მუხლის მეორე ნაწილი). შესაბამისად, ამ ორი დანაშაულის გამოძიების პროცესში კომპიუტერულ მონაცემებთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება შეუძლებელია. ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება და ამ გზით მტკიცებულებების მოპოვება, არსებითად მნიშვნელოვანია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისათვის, რამდენადაც არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლებს უჭირთ სამართალდამცავთა წინააღმდეგ

	[2] მუხლის პირველი ნაწილი, 378-ე მუხლის მე-2 ნაწილი;“.	მუხლების დამატების ნაცვლად, მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის ქვეპუნქტში გაკეთდეს ზოგადი დათქმა მხოლოდ იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, რომლებისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა.	ჩვენების მიცემა სხვადასხვა მიზეზის გამო, ხოლო სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები თითქმის არასოდეს თანამშრომლობენ გამოძიებასთან. ამდენად, ამ კატეგორიის დანაშაულებზე ფარული ან/და კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება, ხშირად ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის ერთადერთი საშუალებაა. რაც შეეხება იმ საკითხს, რომ თავად ნორმის სტრუქტურაც, სამართლებრივი თვალსაზრისით გადატვირთულია და ყოველ ჯერზე ახალი მუხლების დამატების ნაცვლად, მიზანშეწონილია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის ქვეპუნქტში გაკეთდეს ზოგადი დათქმა მხოლოდ იმ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, რომლებისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა, აღნიშნულის მოწესრიგება საჭიროებს დამატებით ანალიზსა და სცილდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას. ამასთან, ამგვარი მიდგომის გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა კანონპროექტის მიღება მნიშვნელოვნად გადავადდეს რამდენადაც საკითხის მოწესრიგება საჭიროებს კონსესუსის მიღწევას სხვადასხვა დაინტერესებულ

			მხარეებთან. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის კი მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი განხილულ იქნეს შეძლებისდაგვარად მჭიდრო ვადებში.
„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტები	**„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი**: „ბ) საგანგებო სიტუაციის, დანაშაულის/სამართალდარღვევის ჩადენისა და გადაუდებელი დახმარების გაწევის აუცილებლობის სხვა შემთხვევის შესახებ შეტყობინების მიღება, დამუშავება და მასზე სათანადო რეაგირებისთვის ინფორმაციის შესაბამისი სუბიექტებისათვის მიწოდება. თუ პირი განაცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა ძალადობრივ ქმედებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, აცნობოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურსა და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას;“.	**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო:** ცვლილება ასევე ხორციელდება „პოლიციის შესახებ“ და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონებში. ცვლილებების თანახმად, თუ პირი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ ძალადობრივ ქმედებას, სამინისტროს მოსამსახურე ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ (თუ ინფორმაცია შედის „112“-ში) ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. იგივე ვალდებულება არსებობს მაშინაც, თუ პირი არ აცხადებს მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, თუმცა მის სხეულზე არსებული დაზიანებები მოსამსახურეში წარმოშობს ეჭვს აღნიშნულის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ინფორმაციის მიღების შედეგად კონკრეტული ქმედების წამებად, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ	**ნაწილობრივ გათვალისწინებულია** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ნაწილობრივ გაიზიარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიცია. კერძოდ, მართებულია აღნიშნული უწყების პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ პროექტში უნდა დაკონკრეტდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის ინფორმაციის მხოლოდ იმ შემთხვევაში გადაცემის საკითხი, როდესაც ცნობილი ხდება სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან განხორციელებული შესაძლო ძალადობრივი ქმედებების შესახებ. შესაბამისად, როგორც „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, ასევე „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტებში დაკონკრეტდა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ეცნობება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირი

	„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი: „6. თუ პირი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა ძალადობრივ ქმედებას, პოლიციელი და სამინისტროს სხვა მოსამსახურე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. პოლიციელს და სამინისტროს სხვა მოსამსახურეს ამგვარი ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როცა პირი არ აცხადებს მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, თუმცა პირის სხეულზე არსებული დაზიანებები წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული წამების, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან	მოპყრობად ან ძალადობად კვალიფიკაცია და ქმედებაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრა დაკავშირებულია სამართლის სფეროში სათანადო ცოდნასა და კომპეტენციასთან, რაც არ მოეთხოვება სამინისტროს ყველა მოსამსახურეს, მით უფრო „112“-ის ოპერატორებს. შესაბამისად, პრაქტიკაში შეუძლებელი იქნება მიღებული ინფორმაციის შედეგად თითოეული ქმედების სწორი კვალიფიკაცია, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დიდი ოდენობის არარელევანტური შეტყობინებების მიწოდებას. ასევე, შესაძლოა აღნიშნულმა გამოიწვიოს პარალელური წარმოებების დაწყება გენერალურ ინსპექციასა და სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში. ამასთან, განმარტებითი ბარათის თანახმად, უმრავლეს შემთხვევაში სამინისტროს მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შეტყობინებები ეგზავნება დროულად და ინფორმაციის გადაცემის კუთხით პრაქტიკაში პრობლემები არ წამოჭრილა. გამომდინარე აქედან, ბუნდოვანია ცვლილების საჭიროება. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, რომ შეტყობინება სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მხრიდან სავარაუდო ძალადობის ფაქტზე ეცნობოს გენერალურ ინსპექციას, რომელიც, კომპეტენციის ფარგლებში, განსაზღვრავს აღნიშნული შეტყობინების სახელმწიფო ინსპექტორის	მიუთითებს სამინისტროს თანამშრომლის მიერ მის მიმართ ძალადობრივი ქმედებების განხორციელების შესახებ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვერ გაიზიარებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ინფორმაციის მიღების შედეგად კონკრეტული ქმედების წამებად ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობად ან ძალადობად კვალიფიკაცია და ქმედებაზე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ქვემდებარეობის განსაზღვრა დაკავშირებულია სამართლის სფეროში სათანადო ცოდნასა და კომპეტენციასთან, რაც არ მოეთხოვება სამინისტროს ყველა მოსამსახურეს, მით უფრო „112“-ის ოპერატორებს. კანონპროექტით გათვალისწინებული ფორმულირებები არ მოითხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და „112“-ის ოპერატორების მხრიდან გამოძიების ჩატარებას, მათთვის მიწოდებული ინფორმაციისთვის/ქმედებისთვის სწორი კვალიფიკაციის შერჩევასა და ამის შემდგომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ინფორმაციის მიწოდებას, არამედ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში შეტყობინების

	სხვაგვარი ძალადობრივი ქმედების შესახებ.“.	სამსახურისთვის გადაცემის მიზანშეწონილობას. გარდა ამისა, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლად სამინისტროს მოსამსახურის გარდა მიიჩნევა ასევე სხვა უწყების (მაგალითად, საქართველოს პროკურატურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დანაყოფის და ა.შ.) თანამშრომელი. შესაბამისად, საჭიროა პროექტში დაკონკრეტდეს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას ინფორმაცია გადაეცემა მხოლოდ მაშინ როდესაც ცნობილი ხდება სამინისტროს თანამშრომლის მხრიდან განხორციელებული შესაძლო ძალადობრივი ქმედებების შესახებ.	გადმომისამართებისთვის საკმარისია სამინისტროს თანამშრომელთან/,,112“-ის ოპერატორთან პირის განცხადება, რომ პოლიციის თანამშრომლის მხრიდან გახდა ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი. ანალოგიური ვალდებულება აკისრიათ დროებითი მოთავსების იზოლატორების სამედიცინო მუშაკებს. კერძოდ, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, სამედიცინო მუშაკი ვალდებულია დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი), სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ იზოლატორში მოსათავსებელი პირის მიმართ: (ა) წამების, წამების მუქარის, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის შესაძლო ჩადენის შესახებ; (ბ) განმარტების/ჩვენების მიცემის შესაძლო იძულების შესახებ; (გ)

			ძალადობით ან იარაღის გამოყენებით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო ბოროტად გამოყენების ან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების შესახებ. აღნიშნულ წესში მოწესრიგებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე შესაძლო დანაშაულის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ინფორმაციის მოწოდებასთან დაკავშირებით სხვა რეგულაციებიც, რაც მისასალმებელია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ქვემდებარე დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისთვის მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მისი ქვემდებარე დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხი გარდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტისა (რომელში ცვლილების შეტანის საკითხიც კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს გადასაწყვეტია), განისაზღვროს საკანონმდებლო აქტით.

			ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ნორმატიული აქტები, გარდა ზემოაღნიშნული დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და გენერალური ინსპექციის დებულებისა, მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, რეგულირების მიღმა რჩება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვა თანამშრომლების მიერ ინფორმაციის მოწოდების საკითხი, რის გამოც დამკვიდრებულია არასწორი პრაქტიკა. კერძოდ, პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ მოქალაქეთა ნაწილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების შესახებ ატყობინებს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, რომელიც თავის მხრივ ამ ინფორმაციას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ან/და პოლიციის რაიონულ განყოფილებებში ამისამართებს. მიუხედავად იმისა, რომ გენერალური ინსპექცია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შემჭიდროებულ ვადაში უგზავნის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შესულ შეტყობინებას, ეს პროცესი დროში დაყოვნებას მაინც იწვევს. ეს მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა გამოძიების ეფექტურად ჩატარებისთვის, რადგან შეტყობინების

			დაგვიანებით გადაგზავნასთან დაკავშირებული პრობლემის გარდა, წარმოშობს დანაშაულის ჩამდენი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მის წინააღმდეგ შესული შეტყობინების შესახებ, ინფორმირების რისკებს (საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის მიერ შეტყობინების პოლიციის რაიონულ განყოფილებებში გადამისამართების შემთხვევაში). აღნიშნული ინფორმაცია მითითებულია კანონპროექტის განმარტებით ბარათშიც, თუმცა კანონპროექტის სამართლებრივი ექსპერტიზისას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ არ იქნა მხედველობაში მიღებული. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფო ინსპექტორის მიერ ინიცირებული კანონპროექტები ემსახურება ეფექტიანი გამოძიებისთვის მყარი საკანონმდებლო ბერკეტების შექმნას. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მიერ არ იქნა გაზიარებული შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები.
„საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“	**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-6 პუნქტი:** „6. თუ პირი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს	**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური:** სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან	**არ არის გათვალისწინებული** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო ფუნქციის ამოქმედებამდე (2019 წლის 01 ნოემბრამდე)

საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა ძალადობრივ ქმედებას, მოსამსახურე ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს და სამსახურის გენერალურ ინსპექციას. მოსამსახურეს ამგვარი ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როცა პირი არ აცხადებს მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, თუმცა პირის სხეულზე არსებული დაზიანებები წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული წამების, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობრივი ქმედების შესახებ.“.	იზოლატორში მოსათავსებელი/ მოთავსებული პირის მიმართ დანაშაულის შესაძლო ჩადენის შესახებ ინფორმაციის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურის მიერ შეტყობინების, ასევე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაბამისი წარმომადგენლების დროებითი მოთავსების იზოლატორში შესვლის მარეგულირებელი ნორმები უკვე დადგენილი და გაწერილია „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2017 წლის 30 მარტის №31 და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2017 წლის 30 მარტის №33 ბრძანებებით. აღსანიშნავია, რომ ეს აქტები ნორმატიული ხასიათისაა, გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აგრეთვე, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოქმედებათა განხორციელებისას	სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს შორის გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განხილულ იქნა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებში, კერძოდ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2017 წლის 30 მარტის №31 და №33 ბრძანებებში ცვლილებების შეტანის საკითხი. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულის შედეგად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, 2019 წლის 02 ნოემბერს, სათანადო ცვლილებები განხორციელდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რაც მისასალმებელია და მიუთითებს სამსახურსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შორის თანამშრომლობის მაღალ ხარისხზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი ქვემდებარე დანაშაულების ეფექტიანი გამოძიებისთვის მყარი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

		დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ, შესაბამისი მასალების დაუყოვნებლივ გადაცემას საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, საქართველოს გენერალურ პროკურატურაზე ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეუწონლად მიგვაჩნია „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი ცვლილების განხორციელება. აღნიშნული შენიშვნა გასათვალისწინებელია ასევე „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით წარმოდგენილი კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და სხვა შესაბამის ნორმათა მიმართ.	სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მისი ქვემდებარე დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიწოდების საკითხი გარდა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა (რომელში ცვლილების შეტანის საკითხიც კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს გადასაწყვეტია), განისაზღვროს საკანონმდებლო აქტით. რაც შეეხება „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ნორმას (ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოქმედებათა განხორციელებისას დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში სამსახურის გენერალური ინსპექცია შესაბამის მასალებს დაუყოვნებლივ, საგამოძიებო ქვემდებარეობის შესაბამისად, გადასცემს საქართველოს გენერალურ პროკურატურას ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს), სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვერ გაიზიარებს წარმოდგენილ არგუმენტაციას, რომ აღნიშნული საკმარისი სიცხადითა და ეფექტურობით არეგულირებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მისი ქვემდებარე

			დანაშაულების შესახებ ინფორმაციის მოწოდების საკითხს, რამდენადაც აღნიშნული ნორმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალურ ინსპექციას. ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის დანაშაულის შესახებ ინფორმაციის დროულად მიწოდება ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა. ბუნებრივია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის სამმართველოს თანამშრომლების/ექიმების მიერ ინფორმაციის გენერალური ინსპექციისთვის მიწოდება, მისი განხილვა გენერალური ინსპექციის მიერ, გარემოებების გამორკვევა და შემდგომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში, საქმის გადმოგზავნა სამსახურისთვის, მოითხოვს არცთუ ისე მცირე დროს. შესაძლო დანაშაულის ჩადენიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდგომ შეტყობინების გამოგზავნა სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტისთვის ართულებს და ზოგჯერ შეუძლებელს ხდის პირველადი და აუცილებელი

			საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების ჩატარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციის მიერ რეაგირების ზოგად წესს, ასევე ისეთ შემთხვევებზე რეაგირების წესს, როდესაც უშუალოდ მის წარმოებაში არსებული საქმიდან გამოიკვეთება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნები. ხოლო, კანონპროექტით წარმოდგენილი 50-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყველა მოსამსახურე უნდა იყოს ვალდებული სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინონ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. აღნიშნული ვალდებულება ბუნებრივია არ გამორიცხავს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გენერალური ინსპექციისთვის იმავე ინფორმაციის მიწოდებას, რაც ასახულია კიდეც კანონპროექტში.

„საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტები		**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:** კანონპროექტების მიხედვით, თუ პაციენტი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა ძალადობრივ ქმედებას, ექიმის (დამოუკიდებელი საექიმო სუბიექტის) ვალდებულებაა, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს მიაწოდოს ინფორმაცია აღნიშნულის თაობაზე. მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს აღნიშნული შეტყობინების წესი - კერძოდ, მართებულია განისაზღვროს, თუ რა ჩაითვლება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის შეტყობინებად.	**გათვალისწინებულია** პროექტით წარმოდგენილი „საექიმო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის: **1. 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:** „3. თუ პაციენტი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა ძალადობრივ ქმედებას, ასევე განმარტების/ჩვენების მიცემის იძულებას, დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, სატელეფონო გზით, შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს ამგვარი ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როცა პაციენტი არ აცხადებს (ან ობიექტურად არ შეუძლია განაცხადოს) მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, თუმცა პირის სხეულზე არსებული დაზიანებები და აღნიშნულთან დაკავშირებით დამოუკიდებელი საექიმო სუბიექტისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან/და გარემოებები წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი
		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო: საყურადღებოა, რომ კანონპროექტების მიხედვით ექიმს (დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს) შეტყობინების ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც პაციენტის სხეულზე არსებული დაზიანებები წარმოშობს ეჭვს პაციენტის მიმართ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან	

		განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ექიმმა სხეულზე არსებული დაზიანებით განსაზღვროს მისი მიმყენებელი არის თუ არა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი/მოხელე/ მოხელესთან გათანაბრებული პირი, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, კანონპროექტებიდან აღნიშნული ნაწილის ამოღებას, რაც არაგონივრულად მძიმე ტვირთის მატარებელია ვალდებულების მქონე სუბიექტებისთვის. საქართველოს კანონის 53-ე მუხლში კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება არ უნდა შევიდეს (აღნიშნული განხორციელდეს სხვა ფორმით), რადგან აღნიშნული მუხლი განამტკიცებს ზოგად პრინციპებს, რასაც კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილება თავისი არსით არ წარმოადგენს.	ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული წამების, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობრივი ქმედების შესახებ. შეტყობინების განხორციელების თაობაზე ასევე ეცნობება აღნიშნულ პირს."; **2. 55-ე მუხლის შემდგომ დაემატა შემდეგი შინაარსის 55[1] მუხლი:** **„მუხლი 55[1]. დამოუკიდებელი საექიმო სუბიექტის ვალდებულება პატიმრის, დაკავებულის ან დატყვევებულის მიმართ შესაძლო ძალადობის განხორციელებაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში** პატიმრის, დაკავებულის ან დატყვევებულისათვის სამედიცინო მომსახურების გაწევისას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, სატელეფონო გზით შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, თუ პაციენტი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა

			ძალადობრივ ქმედებას, ასევე განმარტების/ჩვენების მიცემის იძულებას. დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტს ამგვარი ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როცა პაციენტი არ აცხადებს (ან ობიექტურად არ შეუძლია განაცხადოს) მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, თუმცა პირის სხეულზე არსებული დაზიანებები და აღნიშნულთან დაკავშირებით დამოუკიდებელი საექიმო სუბიექტისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან/და გარემოებები წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული წამების, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობრივი ქმედების შესახებ.“. **პროექტით წარმოდგენილი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის:** **1. 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:** „3. თუ პაციენტი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან

			სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა ძალადობრივ ქმედებას, ასევე განმარტების/ჩვენების მიცემის იძულებას, ექიმი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, სატელეფონო გზით შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს. ექიმს ამგვარი ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როცა პაციენტი არ აცხადებს (ან ობიექტურად არ შეუძლია განაცხადოს) მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, თუმცა პირის სხეულზე არსებული დაზიანებები და აღნიშნულთან დაკავშირებით ექიმისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან/და გარემოებები წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული წამების, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობრივი ქმედების შესახებ. შეტყობინების განხორციელების თაობაზე ასევე ეცნობება აღნიშნულ პირს.“; **2. 44-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:** ბ) დაუყოვნებლივ, პირველივე შესაძლებლობისთანავე, სატელეფონო გზით შეატყობინოს სახელმწიფო

			ინსპექტორის სამსახურს, თუ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი აცხადებს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ წამებას, ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სხვა ძალადობრივ ქმედებას, ასევე განმარტების/ჩვენების მიცემის იძულებას. ექიმს ამგვარი ვალდებულება ეკისრება იმ შემთხვევაშიც, როცა პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირი არ აცხადებს (ან ობიექტურად არ შეუძლია განაცხადოს) მის მიმართ განხორციელებული ძალადობრივი ქმედების შესახებ, თუმცა პირის სხეულზე არსებული დაზიანებები და აღნიშნულთან დაკავშირებით ექიმისთვის მიწოდებული ინფორმაცია ან/და გარემოებები წარმოშობს ეჭვს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მხრიდან მის მიმართ განხორციელებული წამების, ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობრივი ქმედების შესახებ.“.
		საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:	**არ არის გათვალისწინებული** იქიდან გამომდინარე, რომ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“

		საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, მიზანშეწონილად მივიჩნევთ, „ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში 38-ე და 44-ე მუხლებისთვის თითქმის ანალოგიური შინაარსის მქონე პუნქტების დამატების ნაცვლად, კანონს დაემატოს ახალი მუხლი ან ცვლილება შევიდეს თუნდაც 45-ე მუხლში და მან მოიცვას ორივე ზემოხსენებული პუნქტის შინაარსი. აგრეთვე, მიგვაჩნია, რომ „საექიმო საქმიანობის შესახებ“	საქართველოს კანონის V თავში (სამედიცინო საქმიანობა) ცალკე, 44-ე მუხლად არის გამოყოფილი პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული პირისადმი ექიმის ვალდებულებები, ამასთან აღნიშნულ თავში მისგან გამიჯნულია ექიმის ვალდებულებები სხვა პაციენტებთან მიმართებით, მიზანშეწონილია დამატება განხორციელდეს როგორც კანონის 38-ე, ასევე 44-ე მუხლში. სხვა შემთხვევაში, კანონისთვის ახალი მუხლის დამატებამ შესაძლოა მისი წაკითხვისას ინტერპრეტაციის შესაძლებლობა გააჩინოს.
„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტიო		**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო:** აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულების დასადებად საჭიროა არა მხოლოდ ორი მხარის/სუბიექტის განზრახვა საერთაშორისო ხელშეკრულების დადებაზე, არამედ ამ სუბიექტების სათანადო უფლებამოსილება დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები. სამსახურის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის განმარტებითი ბარათით არ დასტურდება, რომ რომელიმე განვითარებული ქვეყნის (ევროპის საბჭოს ან/და ევროპის კავშირის წევრი ქვეყნის) პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების მანდატის მქონე უწყებას აქვს უფლება დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება იმ საკითხებზე, რომლებიც მის კომპეტენციას განეკუთვნება. ამასთანავე, „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს	**გათვალისწინებულია** კანონპროექტიდან ამოღებულ იქნა საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილება.

		კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, მთავრობის - აღმასრულებელი ხელისუფლების მიღმა მყოფი სახელმწიფო უწყებების აბსოლუტურ უმრავლესობას არ აქვს საკუთარი სახელით უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულება დადების უფლებამოსილება. გამონაკლისია მხოლოდ საქართველოს პროკურატურა, რომელიც კონსტიტუციის 2018 წლამდე მოქმედი რედაქციით შედიოდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში.	
		საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის დღეს მოქმედი რედაქციით, საერთაშორისო ხელშეკრულებაზე/ ხელშეკრულების პროექტზე სავალდებულო წესით დასკვნის გაცემის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ საქართველოს იუსტიციისა და ფინანსთა სამინისტროებს, კერძოდ: წინადადება საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე საქართველოს კანონმდებლობასთან მისი შესაბამისობისა და შესაძლო სამართლებრივი შედეგების შესახებ დასკვნისათვის წარედგინება იუსტიციის სამინისტროს, ხოლო შესაძლო საფინანსო-ეკონომიკური შედეგების შესახებ დასკვნისათვის - ფინანსთა სამინისტროს. დამატებით, საგარეო საქმეთა სამინისტრო წინადადებას საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე - მისი შინაარსიდან გამომდინარე, ყოველ კონკრეტულ ჯერზე დასკვნისთვის უგზავნის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს	**არ არის გათვალისწინებული** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ადასტურებს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ექსპერტიზის ჭრილში, მჭიდროდ თანამშრომლობს. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებულმა ცვლილებამ არ უნდა შექმნას დამატებითი სირთულეები პრაქტიკული თვალსაზრისით. გარდა ამისა, საყურადღებოა კანონპროექტის ფორმულირებებიც, რომელიც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სავალდებულო ექსპერტიზას ითვალისწინებს არა ყველა ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან მიმართებით, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო ხელშეკრულების/შეთანხმების პროექტით გათვალისწინებულია

		კომპეტენციის შესაბამისად, იმის მიხედვით, თუ რა საკითხებს შეეხება მოცემული პროექტი. იმ სახელმწიფო უწყებების ჩამონათვალის გაზრდა კანონით, რომელთა დასკვნაც სავალდებულოა, გამოიწვევს დამატებით სირთულეებს პრაქტიკული თვალსაზრისით. როგორც წესი, ხელშეკრულების პროექტი რამდენიმე სამინისტროს ეგზავნება დასკვნისათვის. თითოეულ შემთხვევაში პასუხისმგებელი უწყებების განსაზღვრა ხდება ხელშეკრულების პროექტის შინაარსისა და მასში მოცემული დებულებების გათვალისწინებით. კანონით აღნიშნულის წინასწარ განსაზღვრა კი შეუძლებელი იქნება, რადგან, თუ სფეროების მიხედვით განისაზღვრება უწყებები, რომლებმაც უნდა წარადგინონ სავალდებულო დასკვნა, მაშინ, ეს თავად ხელშეკრულების პროექტის დებულებების უგულებელყოფას გამოიწვევს, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდეს ამა თუ იმ უწყების პოზიციას. ამასთან, შესაძლოა, ესა თუ ის საკითხი ხელშეკრულების პროექტში არ იყოს რეგულირებული და არსებული პრაქტიკით საჭირო გახდეს მისი ასახვა ხელშეკრულების პროექტში. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი და მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე არ იქნება დებულებები, მაინც საჭირო იქნება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის პოზიცია. აღსანიშნავია, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებები/ხელშეკრულებების	პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის მნიშვნელოვანია, რომ ორ უწყებას შორის დღეის მდგომარეობით პრაქტიკით დარეგულირებული ურთიერთთანამშრომლობა, სათანადოდ განმტკიცდეს საკანონმდებლო რეგულაციებში. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციისათვის გადაცემა, არ საჭიროებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ნებართვას, თუ მონაცემთა გადაცემა გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით და შეთანხმებით. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებები ითვალისწინებდეს პერსონალურ მონაცემთა კანონიერი დამუშავებისთვის სათანადო გარანტიებს.

		პროექტები, რომლებიც მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებულ დებულებებს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ყოველთვის ეგზავნება დასკვნისთვის სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, რაც ასევე დადასტურებულია სამსახურის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის განმარტებითი ბარათით. შესაბამისად, დამატებით სავალდებულო უწყებების განსაზღვრა წარმოქმნის სირთულეებს პრაქტიკული თვალსაზრისით.	
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე	**მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი:** „ზ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/ სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია ამ კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის გათვალისწინებული თანამდებობები; ამ კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირი;“;	**საჯარო სამსახურის ბიურო:** როგორც მოგეხსენებათ, ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულაციებით გაიმიჯნა საჯარო სამსახურში დასაქმებულ პირთა სამართლებრივი სტატუსი და დადგინდა შესაბამისი კატეგორიები. მოცემულ კატეგორიზაციას საფუძვლად დაედო შესასრულებელი ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების ბუნება და მათი სიღრმისეული გააზრების შედეგები. ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის კონცეფცია დაეფუძნა მმართველობის პროცესში პოლიტიკისა და ადმინისტრაციის გამიჯვნის იდეას. პოლიტიკა ხორციელდება და პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ. მათი უფლებამოსილებები უკავშირდება მმართველობის პროცესში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას და	**გათვალისწინებულია**

	78-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე“ ქვეპუნქტი: „ე) სახელმწიფო ინსპექტორისა და მისი მოადგილეების თანაშემწეები.“.	აღსრულებას, ხოლო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სახელმწიფო-პოლიტიკური და პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მხარდაჭერის განმახორციელებელ დასაქმებულ პირებს ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები წარმოადგენენ. ზოგადად მმართველობის/ადმინისტრირების დონეზე მოვალეობების შესრულებისას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები ეყრდნობიან შესაბამის საჯარო დაწესებულებებში არსებულ ადმინისტრაციულ რესურსებს (მათ შორის, პროფესიულ საჯარო მოხელეებს), ახორციელებენ რა სახელმწიფო/საჯარო სამსახურს შესაბამის სფეროში. თუმცა, არსებობს ფუნქციათა ვიწრო ჩამონათვალი, რომლის განხორციელება მოითხოვს პოლიტიკური შეხედულებების აბსოლუტურ თანხვედრას სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირსა და ამ ფუნქციების განმახორციელებელ პირებს შორის. სწორედ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები ასრულებენ ასეთ შეზღუდულ, მაგრამ ამავე დროს არსებით ფუნქციებს. ამასთან, საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაკავებელი თანამდებობა არის ნაწილობრივ პოლიტიკური უფლებამოსილებების შემცველი თანამდებობა, მისი დაკავება ხდება პოლიტიკური ნიშნით და ემსახურება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის	

		პირის პოლიტიკური მმართველობის განხორციელებას. ამდენად, საჯარო სამსახურში ადმინისტრაციული ხელშეკრულების, როგორც დასაქმების ფორმის შემოღება განხორციელდა მისი სამეცნიერო და პრაქტიკული ანალიზის შედეგად. ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მთავარ მახასიათებლად განისაზღვრა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში მხარდაჭერა/ხელშეწყობა. შესაბამისად, იმის გათვალისწინებით რომ სახელმწიფო ინსპექტორი და მისი მოადგილეები არ წარმოადგენენ სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს და არ ინიშნებიან პოლიტიკური ნიშნით, ბიუროს მიაჩნია, რომ წარმოდგენილი საკანონმდებლო ინიციატივა წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირის ინსტიტუტის ძირითად არსთან, რაც ემყარება ზემოაღნიშნულ მსჯელობას და საფრთხეს უქმნის საჯარო სამსახურის რეფორმის მთავარ მიზანს - საჯარო სამსახურში პოლიტიკური და ადმინისტრაციული მმართველობითი საქმიანობის გამიჯვნის აუცილებლობას.	
„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების	34-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი: „ბ) პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, ადვოკატთა ან სახელმწიფო ინსპექტორის	**საქართველოს გენერალური პროკურატურა:** „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, „პროკურატურის შესახებ''	**არ არის გათვალისწინებული** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ზრუნავს სამსახურის თანამშრომლების არამხოლოდ პროფესიულ განვითარებაზე, არამედ მათი

შეტანის თაობაზე	სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდა.“.	საქართველოს ორგანული კანონის 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, კერძოდ: პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, ადვოკატთა ან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდა. წარმოდგენილი კანონპროექტის განმარტებითი ბარათის შესაბამისად, რადგან გამოცდა ბარდება იდენტურ დისციპლინებში, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდა უნდა გაუთანაბრდეს ადვოკატთა და პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდას. ამ ლოგიკით ყველა საგამოძიებო ორგანოს შესაძლოა თავისი საკვალიფიკაციო გამოცდა ჰქონდეს, რაც სამართლებრივი და ფაქტობრივი ნონსესია და საჭიროება აღნიშნულისა რაში მდგომარეობს, გაუგებარია. ამდენად, წარმოდგენილს არ ვეთანხმებით.	შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე, რაც განაპირობებს სამსახურში დასაქმებით მაღალკვალიფიციური კადრების დაინტერესებასა და მათ შორის ჯანსაღი კონკურენციის პირობებში სამსახურის მიერ საუკეთესო კანდიდატზე არჩევანის გაკეთებას. ამასთან, სამსახურის მიზანია შრომის ბაზარზე სამსახურის გამომძიებლებს არ შეექმნათ ხელოვნური ბარიერი, მათ შორის, სხვა სამართალდამცავ უწყებაში გადასვლის დროს. არსებულ ვითარებაში პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა წარმოადგენს სამსახურის გამომძიებლებისთვის ხელოვნურ ბარიერს, რადგან თუ გამოცდის მიზანია პირის კომპეტენციის შემოწმება და დადასტურება, აღნიშნული მიზანი მიიღწევა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებითაც. მით უფრო, იმ პირობებში, როცა ორივე გამოცდა ტარდება ერთსადაიმავე დისციპლინაში. შესაბამისად, თუ პროკურატურაში დასაქმების მსურველის კვალიფიკაცია უკვე დადასტურებული და გაზომილია იმავე კრიტერიუმებით, რომლითაც თავად პროკურატურა ზომავს,

			გაუგებარია რატომ უნდა დაიხარჯოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური რესურსები ამგვარი პირების კვალიფიკაციის შემოწმებაზე ან რატომ უნდა უწევდეთ ასეთ პირებს თავისი კარიერული საქმიანობის მანძილზე თვისობრივად ერთიდაიგივე გამოცდის განმეორებით ჩაბარება (რაც მათი მხრიდან ასევე ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, პროკურატურის ან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში გამომძიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც არ არის ნასამართლევი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად ან ადვოკატად

			მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, საქმიანი თვისებები და მაღალი მორალური რეპუტაცია, იცის სამართალწარმოების ენა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩაბარებული აქვს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდა. ანუ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებისთვის კანონმდებლობა აწესებს ისეთივე მაღალ მოთხოვნებს, როგორც პროკურატურის მუშაკისთვის და ადვოკატისთვის. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არის ერთადერთი საგამოძიებო ორგანო, სადაც გამომძიებელს, პროკურატურის გამომძიებლის მსგავსად, მოეთხოვება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელს პროკურატურის სისტემაში შესვლა უნდა შეეძლოს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე. საქართველოს გენერალურ პროკურატურას სამართლებრივ და ფაქტობრივ ნონსენსად მიაჩნია წარმოდგენილი ცვლილება, მაშინ როცა პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდასთან გათანაბრებულია ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

			როგორც პროკურატურის, ისე სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისა და აღნიშნულ უწყებებში დასაქმებული/დასასაქმებელი კანდიდატებისადმი მოსალოდნელი დადებითი შედეგების გათვალისწინებით, რასაც უზრუნველყოფს წარმოდგენილი ცვლილება, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ვერ გაიზიარებს პროკურატურის დაუსაბუთებელ მოსაზრებას.
„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი	კანონპროექტი ითვალისწინებს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდასთან სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლების საკვალიფიკაციო გამოცდის გათანაბრებას.	**ადვოკატთა ასოციაცია:** პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საერთაშორისო და პარტნიორ ორგანიზაციებთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შინაარსი, პროგრამა და დიზაინი შედგენილია იმგვარად, რომ შემოწმდეს ის სამართლებრივი ცოდნა და ანალიტიკური უნარები, რაც აუცილებელია საადვოკატო საქმიანობისთვის და მორგებულია დამოუკიდებელი საადვოკატო პროფესიის მოთხოვნებზე. დღევანდელი კანონმდებლობით, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდასთან გათანაბრებულია მოსამართლეობის და პროკურატურის საკვალიფიკაციო გამოცდები, რაც იმითაა განპირობებული, რომ აღნიშნული გამოცდები მართლმსაჯულების პროფესიათა გამოცდას წარმოადგენს და მათი შინაარსი შეესაბამება ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ზემოაღნიშნულ მიზანს. წარმოდგენილი	**ნაწილობრივ გათვალისწინებულია** სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა ნაწილობრივ გაიზიარა ადვოკატთა ასოციაციის შენიშვნა, კერძოდ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული პირებისთვის, ადვოკატის პროფესიაში შესვლის მიზნით, სავალდებულო იქნება პროფესიული ადაპტაციის ერთ წლიანი პროგრამის გავლა, რომელიც მოიცავს სამ თვიან თეორიულ სწავლებასა და ცხრა თვიან სტაჟირებას. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური ზრუნავს თავისი თანამშრომლების არამხოლოდ პროფესიულ განვითარებაზე, არამედ მათი შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებზე.

		კანონპროექტით კი, ჯერ ერთი შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რა ცოდნისა და ანალიტიკური უნარების შემოწმებას/ შეფასებას მოახდენს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდები და მეორეს მხრივ, დამეთანხმებით, რომ გამომძიებელი არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირს სამართალწარმოებისას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ადვოკატთა ასოციაცია, როგორც საჯარო სამართლის კორპორაცია წარმოადგენს დამოუკიდებელ თვითმმართველ ინსტიტუტს, რომელიც თავად არეგულირებს პირის პროფესიაში შემოსვლას მათ შორის, გამოცდების ორგანიზებას, ხოლო კანონპროექტში მითითებული გამომძიებლის გამოცდის ადვოკატის გამოცდისთვის გათანაბრება, შექმნის სხვა საგამოძიებო უწყებების (ასეთი უწყება არაერთია) გამოცდების შემოღებისა და დამოუკიდებელ პროფესიულ გამოცდასთან გათანაბრების არასწორ პრეცენდენტს მომავალში. მიუხედავად სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლების მნიშვნელოვანი ფუნქციებისა, აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული ის გარემოება, რომ მოსამართლეს, ადვოკატს და პროკურორს, როგორც მართლმსაჯულების განხორციელების ძირითად აქტორებს აკისრიათ განსაკუთრებული როლი სამართალწარმოების პროცესში. შესაბამისად, არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად, რომ	ამასთან, სამსახურის მიზანია შრომის ბაზარზე სამსახურის გამომძიებლებს არ შეექმნათ ხელოვნური ბარიერი თუ მოინდომებენ სხვა მიმართულებით კარიერის გაგრძელებას. არსებულ ვითარებაში ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა წარმოადგენს სწორედ ხელოვნურ ბარიერს, რადგან თუ გამოცდის მიზანია პირის კომპეტენციის შემოწმება და დადასტურება, აღნიშნული მიზანი მიიღწევა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებითაც, მით უფრო, რომ ორივე გამოცდა ტარდება ერთსადაიმავე დისციპლინაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლის ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის, პროკურატურის ან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის

		აღნიშულ პროფესიაში შესვლის სტანდარტი (მათ შორის, საკვალიფიკაციო გამოცდები) გაუთანაბრდეს გამომძიებლის საკვალიფიკაციო სტანდარტს. აგრეთვე, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონში 2018 წლის 4 მაისს შესული ცვლილებების საფუძველზე, 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა პროფესიული ადაპტაციის პროგრამა, რომლის გავლაც ადვოკატების პროფესიაში შესვლის სავალდებულო კომპონენტია და რომელიც სამ თვიანი თეორიული კურსისა და 9 თვიანი სტაჟირებისგან შედგება. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში საადვოკატო საქმიანობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა პროფესიაში სათანადოდ მომზადებული პროფესიონალების შესვლის გზით. აღსანიშნავია, რომ 9 თვიანი სტაჟირება პროფესიული მომზადების სწორედ ის საფეხურია, როდესაც ადვოკატობის მსურველმა პირმა, მენტორი ადვოკატის ზედამხედველობის ქვეშ, უნდა შეიძინოს მაქსიმალური პრაქტიკული გამოცდილება და უნარ-ჩვევები იმისთვის, რომ სრულყოფილად მოახდინოს ადვოკატის პროფესიაში ინტეგრირება და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირების ინტერესების ეფექტიანი დაცვა. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელი, მისი საქმიანობის შინაარსისა და თავისებურების გათვალისწინებით, გამომძიებლის კარიერის განმავლობაში ვერ შეიძენს იმ ცოდნასა და უნარებს, რომელიც	საგამოძიებო დეპარტამენტში გამომძიებლად შეიძლება დაინიშნოს საქართველოს მოქალაქე, რომელიც არ არის ნასამართლევი, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, მოსამართლედ, პროკურორად, გამომძიებლად ან ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება, საქმიანი თვისებები და მაღალი მორალური რეპუტაცია, იცის სამართალწარმოების ენა და საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩაბარებული აქვს ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდა. ანუ, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლებისთვის კანონმდებლობა აწესებს ისეთივე მაღალ მოთხოვნებს, როგორც პროკურატურის მუშაკისთვის და ადვოკატისთვის. ამასთან, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური არის ერთადერთი საგამოძიებო ორგანო, სადაც გამომძიებელს, პროკურატურის გამომძიებლის მსგავსად, მოეთხოვება საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება. შესაბამისად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებელს ადვოკატის პროფესიაში შესვლა უნდა შეეძლოს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე. რაც შეეხება უშუალოდ ადვოკატისთვის დამახასიათებელ პროფესიულ ცოდნასა (მაგალითად, ადვოკატის პროფესიული ეთიკა და

		აუცილებელია საადვოკატო საქმიანობის ხარისხიანად განხორციელებისთვის.	სხვა) და უნარებს, აღნიშნულის გამომუშავებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გამომძიებლები შეძლებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამით გათვალისწინებული თეორიული სწავლებისა და სტაჟირების კომპონენტების ფარგლებში.